ᲬᲔᲚᲘᲬᲐᲓᲘ ᲞᲘᲠᲕᲔᲚᲘ. ᲤᲐᲡᲘ 5 ᲙᲐᲞ. ᲡᲐᲛᲨᲐᲑᲐᲗᲘ, 16 ᲘᲕᲜᲘᲡᲘ 1915 Წ. № 20

# ᲡᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝ

ხელის მოწერა და დასაბეჭდი განცხადებანი მიიღება „საქართველოს" რედაქციაში და კანტორაში ყოველდღე კვირა უქმეების გარდა დილის 9—3-მდე, საღამოს 5—7-მდე.

ხელმოუწერელი წერილები არ დაიბეჭდება; დაუბეჭდავი მცირე წერილები და კორესპონდენციები სულ არ ინახება; ინახება ერთის თვით მხოლოდ დიდი წერილები და მოთხრობანი.

რედაქცია და კანტორა იმყოფება: თბილისში, მოსკოვის ქუჩაზე, № 4.

ფოსტის ადრესი წერილებისა და ფულისათვის: Тифлисъ, редакція „Сакартвело", поч. ящикъ № 76,

ᲒᲐᲜᲪᲮᲐᲓᲔᲑᲘᲡ ᲤᲐᲡᲘ:

ჩვეულებრივი სტრიქონი პირველ გვერდზე პეტიტით ღირს 15 კ., უკანასკნელზე—10 კ., სამგლოვიარო განცხადება პირველ გვერდზე თითოჯერ საღამოს 4 საათამდე ღირს 4 მან., 4 საათის შემდეგ (მიიღება მხოლოდ ს. ლოსაბერიძის სტამბაში, მოსკოვის ქუჩაზე), და ეღირება 5 მანეთი.

## „ᲡᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝᲡ" კანტორისაგან

გაზეთი „საქართველო" წლის დამლევამდე ღირს 5 მანეთი. შეიძლება ფასის გადახდა ამნაირად: პირველ ოქტომბრამდე 3 მანეთი და შემდეგ ორი მანეთი. ჟურნალ „კლდის" ხელის მომწერთ, რომელთაც გადახდილი აქვთ მთელი წლისა (5 მან.) „საქართველო" გაეგზავნებათ **მხოლოდ** პირველ მკათათვემდე. „კლდის" ხელის მომწერთ, რომელთაც სამს მანეთამდის აქვს შემოტანილი, „საქართველოს" მხოლოდ პირველი ნომერი გაეგზავნებათ.

კანტორა უმორჩილესად სთხოვს თბილისის ხელის მომწერთ დაუყოვნებლივ აცნობონ კანტორას თუ ოდესმე მათ გაზეთი არ მიუვა.

ᲓᲝᲥᲢᲝᲠᲘ ᲛᲔᲓᲘᲪᲘᲜᲘᲡᲐ

მოსე ანთიმოსის ძე

ᲙᲐᲚᲐᲜᲓᲐᲠᲘᲨᲕᲘᲚᲘ

უფროსი ექიმი ტფ. კადეტთა კორპუსისა.

**ბავშვთა, შინაგან** და **ქირურგიულ სნეულებიან** ავადმყოფებს იღებს ყოველ დღე მანგლისში კადეტთა კორპუსის აგარაკში.

კბილის ექიმი ქალი

ᲜᲘᲜᲝ ᲠᲪᲮᲘᲚᲐᲫᲔ

იღებს ავადმყოფებს დილით 9—2 ს. და საღ. 5—7 საათ. ყაზბეგის ქუჩა 14 და კირპიჩნი შესახვევის 21.

ქ. ᲒᲝᲠᲨᲘ

ᲔᲥᲘᲛᲘ ნ. მ. კლიძიაშვილი

იღებს შინაგან და ქირურგიულ სნეულებიან ავადმყოფებს.

აკაკის ქუჩა, შეფის აფთიაქთან

## ᲗᲑᲘᲚᲘᲡᲘ, 16 ᲘᲕᲜᲘᲡᲘ.

**პასუხი.**

ჩვენს გამოსვლას ცხოვრების ასპარეზზედ, რაღა თქმა უნდა, სხვა და სხვა გრძნობით შეხვდებოდა სხვა და სხვა ჯგუფი და სხვა და სხვა თვალსაზრისით შეხედავდა. ამ მხრივ საინტერესოა ჩვენი, ეგრედ წოდებულ, „ორი" მიმართულების აზრი. ერთი მათგანი მარტოოდენ აღელვებული გრძნობებით და ცარიელა სურვილების არასაკადრისი გამოხატულობით შეგვხვდა, არავითარი რეალური საბუთი საბუთი უკმაყოფილებისა, არავითარი შინაგანი მიზეზი ჩვენთან მტრობის საჭიროებისა მას არ წამოუყენებია და ამით ერთხელ კიდევ დაუმტკიცა ქართველ საზოგადოებას, რომ იგი მიმართულება ერის რეალურ-ობიექტიურ ინტერესებზედ კი არ არის დამყარებული, არამედ მთელს თავის პროგრამას სუბიექტიურ მსჯელობა-სურვილებში ანხორციელებს.

თუ არ მივიღებთ მხედველობაში იმ „პრინციპიალურ" აზრს, რომლის ბაიახტრად გამოვიდა „სახალხო" და რეალურად ცხოვრებაში გამყვანად-აღნიშნული მიმართულება, სახელდობრ: „საზოგადოებაში გაბატონება"—აქ ჩვენ არ ვაპირობთ მეტოქეობას; პირიქით, თუ კი ნამდვილი **საქმის** ატმოსფერა შეიქნება და საზოგადოებრივობა არ გაითელება, როგორც აქამდის—ერისათვის ყოველ სასარგებლო ნაბიჯს მხარს დაუჭერთ და შიში, რომ ჩვენ „დაწესებულებებში ბატონობისა და გავლენის მოპოვება" გვინდა—სულ უსაფუძვლოა. დამშვიდდით.

მეორე მიმართულება, სოციალდემოკრატიული, რომელიც თვისი არსებობით დამყარებულია უფრო რეალურ ელემენტებსა და ინტერესებზედ, რომელიც მხოლოდ კლასთა ბრძოლის თვალსაზრისით განსჭვრეტს ხოლმე ყოველს მოვლენას—პირიქით შეეცადა გამოუნახოს ჩვენს გამოსვლას ისეთი რეალური საფუძველი, რომელიც მის—ს. დ.—ერთხელ და სამუდამოდ შემუშავებულ აზროვნებას შეეფერება. იგი ამბობს, რომ ქართველი „ბურჟუაზია მოღონიერდა, საკუთარი ბუდე ესაჭიროება და დამოუკიდებელ პარტიას აარსებს... რომ თანამედროვე იმპერიალიზმი ბურჟუაზიის ეკონომიურ პროგრამას ანხორციელებს და გამონაკლისს არც ქართველი ბურჟუაზია შეადგენს..." და სხ. და სხ.

ჩვენ არ გვინდა გამეორება იმ შეცდომისა, რომელიც მოსდის ს.-დემოკრატიას, როცა მას ჩვენს განუვითარებელ ცხოვრებაში გადმოაქვს ფსიხიკა იმ ერებისა, საცა კლასთა ბრძოლამ უკიდურესობამდე მიაღწია იმის გამო, რომ ეს მოპირდაპირე კლასები **არსებობენ.** ჩვენში არ არსებობს პროლეტართა ძლიერი კლასი და მისი თვალსაზრისის და ფსიხიკის გადმოტანა იმ ქვეყანაში, საცა უდიდეს უმრავლესობას შეადგენს წვრილი მესაკუთრე და ბურჟუა კი, ერთის მხრით და პროლეტარი მეორეს მხრით—სანთლით საძებარ საგანს შეადგენს—შეცდომად მიგვაჩნია.

ჩვენი მრწამსი სულ სხვა წყაროდან გამომდინარეობს და სულ სხვა რეალურ ელემენტებზედ აპირებს დამყარებას. საფუძველი ყოველივე ეროვნული არსისა, მისი ფიზიკური და სულიერი ვითარება დამყარებულია იმ შინაგან დინამიურ ურთიერთობაზედ, რომელიც არსებობს მატერიალურ პირობათა და ნების ყოფის შუა. (ჩვენ აქ არ ვიღებთ ჯერჯერობით მხედველობაში ერის გარეშე მდგომ მიზეზებს, რომელნიც ევოლუციონურად თუ კატასტროფიულად ზეგავლენას ახდენენ მაზედ).

თუ ეკონომიკა, მატერიალური ინტერესები და პირობანი მოქმედობენ და ჰქმნიან ინდივიდუალურ და კოლლექტიურ ფსიხიკას, აყალიბებენ ეროვნულ სულსა, არა ნაკლები შემოქმედების უნარი აქვს თვით ამ იდეალურ მომენტს, რომელიც კერძო ცხოვრებაში თუ ერის არსებობაში განამტკიცებს ნების ყოფას, მატერიალურ პირობათა შექმნა-შეცვლაზედ. ეს რომ ასე არა ყოფილიყო, ერის ცხოვრებაში ძველებურ რელიგიურ-ფატალიზმის მაგიერ გამეფდებოდა მატერიალური ფატალიზმი, ანუ ინერცია. მაგრამ ჩვენს დანიშნულებას ჩვენ ამ თეორიის გაღრმავება-შემუშავებაში კი არა ვხედავთ, არამედ აქედან გამომდინარე პრაქტიკულ ნაბიჯების გადადგმაში. ჩვენი უაღრესი იდეალი ერის ინდივიდუალური თვითარსებობაა, მისი პროგრესიული განვითარება ეკონომიური, კულტურული და პოლიტიკური. ჩვენი საშუალებანი ნებით გამსჭვალული ბრძოლაა ერის ყოველმხრივი აყვავებისათვის და შემოქმედება ეროვნულ ასპარეზზედ, შემოქმედება კონკრეტულ, რეალურ ფორმებში და არა ოცნებაში მხოლოდ.

ამ მხრივ ჩვენ ვერ დავეთანხმებით „თანამედროვე აზრის" პროგნოზს—ვითომ ფედერალისტებს ჩამოშორდებიან ისინი, ვინც სოციალიზმს გაურბის, როგორც „სახიფათოს" და ჩვენთან მოიკალათებს, როგორც უფრო ხელსაყრელ ბურჟუაზიულ ბანაკში. სოციალიზმი ეხლა სახიფითოს აღარას წარმოადგენს, ნამეტნავად ფედერალისტთა სოციალიზმი, რომელიც არვის არაფერს ავალებსდა სწორედ იქ უნდა დარჩნენ წმინდა წყლის მემარცხენე სოციალისტები. და ჩვენთან მხოლოდ ისინი უნდა მოვიდნენ, ვისაც ნამდვილი ეროვნული სული უდგია და ერისათვის თავდადება შეუძლიან. ეხლანდელ დროში ეს უფრო სახიფათოა.

რაც შეეხება ჩვენს პრაქტიკულ მიზნებს—ამაზე შემდეგ.

## ᲝᲛᲘᲡ ᲓᲦᲘᲣᲠᲘ

### ᲛᲘᲛᲝᲮᲘᲚᲕᲐ

გუშინწინდელ დეპეშებში ნათქვამი იყო რომ მდინარე ვინდავისა, ნემანისა, ორაეიცესა და ომულევის ზეობებში ბრძოლა იყო, ხოლო პრასნიშის მიმართულებით გერმანელებს ჯერ ძლიერი საარტილერიო ბრძოლა გაუმართავთ და მერე იერიშით წამოსულან. საქმე ხიშტებამდე მივიდა და ეს ბრძოლა ჯერაც არ გათავებულაო. გუშინდელ დეპეშებში კი ნათქვამია ზემოხსენებულ რაიონების შესახებ, ცვლილება არ მომხდარაო, არც ის ვიცით, რით გათავდა სასტიკი ბრძოლა პრასნიშთან.

ვისლას მარცხენა ნაპირზე, სანის შესართავიდან მოყოლებული ოპატოვისკენ, „არმ. ვესტ."-ის სიტყვით, ბრძოლის პირის გასასწორებლად რუსის ჯარს შეუმჩნევლად ვისლისკენ დაუხევია, ხოლო მთავარ შტაბის მოხსენებიდან სჩანს, რომ აქ გერმანელებს ზავიხვოსტსა და ოჟაროვის შუა დიდი ჯარი მოუგროვებიათ და წინ იწევენ, თუმცა რუსის ჯარს მათი მოძრაობა შეუჩერებია. ტანევის ჩრდილოეთით, ბელგორაი-ლიუბლინის მიმართულებით რა ხდება არაფერი ისმის. გუშინწინდელ ცნობით ავსტროგერმანელებს იერიშები ჰქონდათ ვირხრატ-გრებენე-ლუბელასკენ. ვირხრატი მდებარეობს რავა რუსკას ჩრდილო-დასავლეთით, ხოლო გრებენე და ლუბელა—ჩრდილოეთით რკინის გზისა და გზატკეცილის გაყოლებით, 10—15 ვერსის მანძილზე. . . . . . . .

. . . . . . . . . აქედან მოყოლებული ლვოვის ხაზამდე რა ხდება, არ ვიცით, ხოლო ლვოვის სამხრეთით დნესტრამდე, უფრო კი ქალაქ ბობრკას მიდამოებში 12-ში მეტად ცხარე ბრძოლა დაიწყო და 13-ს დასრულდა. რუსის ჯარს აქედან დაუხევია მდინარე გნილაია ლიპამდე, რომელიც ჩრდილოეთიდან სამხრეთით მოდის და ქალაქ გალიჩთან ერთვის დნესტრს. გნილაია ლიპა 25 ვერსის მანძილზეა ბობრკა-ჟურავნოდან აღმოსავლეთით და საკმაოდ ძლიერი ბუნებრივი პოზიციაა რუსის ჯარისთვის.

მ. ბ—ლი.

## ᲓᲔᲞᲔᲨᲔᲑᲘ

**ᲗᲑᲘᲚᲘᲡᲘ,** 13 ივნისი. კავკასიის მთავარ შტაბის ცნობა. 11 ივნისს მთელი დღის განმავლობაში სროლა არ შეწყვეტილა ზღვის ნაპირებზე. ოლთისის მიმართულებით ოსმალნი სცდილობდნენ იერიშით წამოსვლას, მაგრამ ყოველგან მოგერიებულ იქმნენ რუსის ჯართა მიერ. ყველაზე უმძვინვარესი იერიში მათ მოიტანეს ჰეილაგის მწვერვალებზე, მაგრამ რუსებმა სახიშტო კონტრ-იერიშით უკუაგდეს მათი რაზმები. მელიაზგერისა, კოპისა და ახლატის რაიონებში რუსთა რაზმები შეეჯახნენ ოსმალთ. დანარჩენ ადგილებში ცვლილება არ მომხდარა.

**ᲗᲑᲘᲚᲘᲡᲘ,** 14 ივნისი. კავკასიის მთავარი შტაბის ცნობა. 12 ივნისამდე ზღვის სანაპირო რაიონებში ჩვეულებრივი სროლაა. სარიყამიშისკენ მოწინავე რაზმები შეხვდნენ ოსმალთა რაზმებს და თითქმის ყველანი ასჩეხეს. დამიანთან რუსის ჯარმა დაამარცხა ოსმალების ერთი პოლკი ქვეითა ჯარისა არტილერიითურთ და ორიც ქურთების პოლკი. ვანის რაიონში ბრძოლაა ზინვონთან. ოსმალთ აქ უმნიშვნელო ჯარები ჰყავთ. ბრძოლა არ შეწყვეტილა. დანარჩენ ბრძოლის პირზე ცვლილება არ მომხდარა.

**ᲙᲝᲞᲔᲜᲰᲐᲒᲔᲜᲘ,** 12 ივნისი. ჩრდილოეთის ზღვაში 17 მაისს დაღუპულ დანელთა ხომალდის შესახებ გერმანელებმა გამოძიება მოახდინეს და აღიარეს, რომ მისი დაღუპვა მოხდა სამწუხარო შეცდომითაო. გერმანიის მთავრობა ღრმა მწუხარებას გამოსთქვამს და დანიის მოავრობას [illegible] მთელი ზარალის ანაზღაურებას.

**ᲞᲔᲢᲠᲝᲒᲠᲐᲓᲘ.** 13 ივნისი, ოფიციალური ცნობა მთავარი შტაბისა. შავლის რაიონში არსებითი ცვლილება არ მომხდარა. 11 ივნისს გერმანელები შეეცადნენ ომულების მხრით იერიშით წამოსულიყვნენ, მაგრამ დიდად დავაზარალეთ. რუსთა თხრილების წინ მთელი ხროვაა გვამებისა, ხოლო ტყვეების რიცხვი 150 კაცამდე ავიდა. ორჟიცის ღელეში ღამით 12 ივნისს რუსებმა მოიგერიეს გერმანელთა ახალი იერიში, შემდეგ კონტრიერიშით ეკვეთნენ და წინა ღამით დაკარგული პოზიციები კვლავ დაიბრუნეს. დავლად 5 ტყვიისმფრქვეველი დარჩათ. იმავე დღეს გერმანელებმა პრასნიშის მიმართულებით ძლიერი საარტილერიო ცეცხლი გააჩაღა და შემდეგ იერიშით წამოვიდა. გამძაფრებული ბრძოლა ბოლოს ხიშტზე გადავიდა. ვისლის მარცხენა ნაპირზე, ქალაქ ზავიხოსტთან, გერმანელები დაუდევრად გადმოვიდნენ, მაგრამ თითქმის ერთი ბათალიონი მოსპობილ იქმნა რუსთა ჯვარედინი საარტილერიო ცეცხლით. ტანევის პირზე სიწყნარეა. რავარუსკის რაიონში გერმანელები შეეცადნენ იერიში მიეტანათ ვიხრატ-კლებენედუბელის ხაზზე. ღამით რუსებმა კონტრიერიში მიიტანეს ლვოვით წამოსულ გერმანელებზე. ტყვედ წამოიყვანეს ორი ათასი, 30 აფიცერი და 13 ტყვიისმფრქვეველი. ქ. ბობრკთან 12 ივნისს სასტიკი ბრძოლა დაიწყო. დნესტრზე ხოდოროვადან გალიჩამდე რუსებმა მოიგერიეს ავსტრო-გერმანელთა სასტიკი იერიშები. 11 ივნისს კვლავ ათასზე მეტი ტყვე წამოიყვანეს რუსებმა, 17 აფიცერი და რამდენიმე ტყვიისმფრქვეველი. დნესტრ-პრუტის პირზე 11 ივნისს რუსებმა რაოდენადმე გაიმარჯვეს.

**ᲞᲐᲠᲘᲖᲘ,** 12 ივნისი, საფრანგეთის საზოგადოებრივი აზრი სწუხს იმის გამო რომ რუსებმა ლვოვი დასტოვეს. მაგრამ ნუგეშობს რომ სტრატეგიული საჭიროების მიერ გამოწვეული ეს მანევრი დიდის ხელოვნებით შეასრულეს. ამ მანევრამ რუსეთის ძალა ხელუხლებელი შეინახა, რაიც დიდად გამოსადეგარია გადამწყვეტ ბრძოლის დროს. მაიორი სივრიეს სწერს „მატენში": „სტრატეგიული მონობა რუსებმა მანევრობის თავისუფლებაზე შესცალეს. სამშოლო მიწასთან მოახლოვება, რუსის ჯარისკაცს უძლეველ ძალას შთაბერსო".

„ეკო-დე-პარი" სწერს: „რუსებმა ლვოვი დასტოვეს, რადგანაც ისინი მისდევენ მეთოდიურ პლანს, რომელიც თავის დროზედ უკარნახებს ჟამს ახალ შემოტევისასო".

„ლ'უმანიტე" სწერს: „რუსებმა არჩიეს ლვოვის დატოვება, რომ ჯარი ხელუხლებელი შეენახათო".

პოლკოვნიკი რუსო „პტი-პარიზიენში" სწერს: მეკენზენი ცდილობდა რუსების ჯარის დამარცხებას გალიციაში, მაგრამ იმედი გაუცრუვდა. გერმანელი გენერალის მდგომარეობა ხიფათში ჩავარდება, თუ შორს რუსეთში შევიდაო".

**ᲐᲗᲘᲜᲐ,** 13 ივნისი. რუსეთის ვაჭრობის აგენტმა ათინაში საბერძნეთის მთავრობას გამოსთხოვა 50 ვაგონი რუსეთის ვაჭრობის საჭიროების კმასაყოფელად; ყოველდღიურად, ორთა შუა რიცხვით, სამი ვაგონი მზად უნდა იყოს სოლუნით რუსეთში საქონლის შემოსაზიდად. საბერძნეთის მთავრობამ შეიწყნარია რუსეთის აგენტის თხოვნა.

**ᲞᲐᲠᲘᲖᲘ,** 13 ივნისი. თვენახევარი, რაც არასის ჩრდილოეთით სასტიკი ბრძოლა სწარმოებს. ეს ბრძოლა, რაც ომი დაიწყო, ყველაზედ უფრო მნიშვნელოვანია დასავლეთის ასპარეზზე.

**ᲞᲔᲢᲠᲝᲒᲠᲐᲓᲘ,** 14 ივნისი. ოფიციალური. მთავარსარდლის შტაბისაგან. ცვლილება არ მომხდარა არც შავლის რაიონში, არც მდ. ნემანის იქითა რაიონში და არც ნარიევისაში. უკუ ვაგდეთ ყველა ის უმნიშვნელო იერიში, რომლებიც მტერმა მოიტანა ამ აღნიშნულ ადგილების სხვა და სხვა ნაწილში. ვისლას მარცხენა ნაპირას მტერმა დიდი ძალები დაამწკრივა ოჟაროვ-ზავიხოსტის ფრონტზე და შემოტევას დაადგა, მაგრამ 13 ივნისის განმავლობაში ამ შემოტევას არავითარი ნაყოფი არ გამოუღია.

გალიციაში 13 ივნისის განმავლობაში რუსის ჯარებმა ძლიერი წინააღმდეგობა გაუწიეს ავსტრიელებს და გერმანელებს ბობრკა-ჟურავნოს ფრონტზე, რის შემდეგაც უკან დაიწიეს „გნილაია ლიპასაკენ". კონტრიერიშების დროს ბობრკას რაიონებიდან რუსებმა 1,600 კაცი ტყვედ წამოიყვანეს, მათ შორის 46 აფიცერი და 2 ტყვიისმტყორცნელი.

**ᲡᲢᲝᲙᲰᲝᲚᲛᲘ,** 13 ივნისი. ლაიპციგის უნივერსიტეტმა ომის განმავლობაში დაჰკარგა სამი პროფესორი და 266 სტუდენტი. 4,388 სტუდენტიდან 2,770 სტუდენტი ჯარში იმყოფება. ბერლინის გაზეთები კვლავ ზავის თაობაზე ლაპარაკობენ. „კროიც-ცაიტუნგი" ამბობს: მთელს გერმანიაში ისეთი ადამიანი არ მოიპოვება, რომელსაც არ ჰსურდეს ზავის ჩამოგდებაო. ვერავის აუკრძალავთ მომავალ ზავზე იფიქროს, მაგრამ ეს სურვილი არ აიხსნება სილაჩრით ანუ უილაჯობითაო.

[illegible] დან იტყობინებიან, რომ გერმანელებმა ფრანგების ქალაქებს 50,000 მარკა გადასახადი დაადვეს იმ ზარალისთვის, რომელიც ფრანგებმა მიაყენეს ხაიფსა და ალექსანდრეტში გერმანელთა ხომალდების დაღუპვითაო.

**ᲡᲝᲚᲣᲜᲘ.** სტამბოლიდან იუწყებიან: ოსმალების მძულვარება სომხების წინააღმდეგ არის მიქცეული. ძველი ოსმალები ცდილობენ დაამხონ ახალგაზდა ოსმალთა სამინისტრო სომეხთა მოშველებით. ისინი შეეცადნენ ცეცხლი წაეკიდნათ „ოქროს რქაში" მოთავსებულ არსენალისა და აგრედვე იმ მასალისათვის, რომელიც ეწყო დოლმა-ბახჩეს სასახლის მახლობლად. ამგვარი მოქმედებით მათ სურდათ ხალხში მღელვარება და შფოთი გამოეწვიათ ახალგაზდა ოსმალთა წინააღმდეგ. რამდენიმე ასი კაცი დააპატიმრეს ორთავე მხრიდან. პერეში გაძარცვეს დიდძალი მაღაზიები.

**ᲡᲢᲝᲙᲰᲝᲚᲛᲘ.** 14 ივნისი. ვენიდან იუწყებიან, ტრიენტის მთავარ-ეპისკოპოზმა და ბროკსენის მთავარ-ეპისკოპოზმა განკარგულება მოახდინეს სამხედრო უწყებას გადაეცეს ყველა ზარი, იმათ გარდა რაც აუცილებელ საჭიროა მრევლისათვის.

**ᲠᲝᲛᲘ.** 14 ივნისი. მთავარი ბინის ცნობა. ტიროლ-ტრიენტინოს საზღვარზე მნიშვნელოვანი არა მომხდარა რა. აქ მხოლოდ საარტილერიო ბრძოლა გრძელდება შორი მანძილიდან. კარნიაში წარსულს ღამეს მტერმა ჩვეულებრივი უშედეგო იერიში მოიტანა ფრეიკოფელზე. მონტეკრონჩეს უღელტეხილთან ჩვენმა ჯარმა ცელლეკოფელის მწვერვალი დაიკავა. საზღვრის გასწვრივ მდინარე იზონცოს გაღმა ჩვენ ნელ-ნელა, მაგრამ განუწყვეტლივ ვიმარჯვებთ,

**ᲞᲔᲢᲠᲝᲒᲠᲐᲓᲘ.** 14 ივნისი. მეფის ბინაზე მათი იმპერატორობითი უდიდებულესობის თავმჯდომარეობით გაიხსნა მინისტრთა საბჭოს სხდომა. კრებაზე დაესწრნენ უავგუსტოესი მთავარი სარდალი დიდი მთავარი ნიკოლოოზ ნიკოლოოზის ძე შტაბის უფროსითურთ გენერალ იანუშკევიჩი, აგრეთვე დაესწრნენ მინისტრთა თავმჯდომარე სტატს-სეკრეტარი გორემიკინი, ხელმწიფის სასახლის მინისტრი გენერალ-ადიუტანტი ხარიტონოვი, გზათა მინისტრი სტ. სეკ. რუხლოვი, სამიწათმოქმედო მთავარი გამგე

სტ. სეკ. კრივოშეინი, უცხო საქმეთა მინისტრი გოფმეისტერი საზონოვი, ფინანსთა მინისტრი ბარკი, ვაჭრობა-მრეწველობისა თავადი შახოვსკი, შინაგან საქმეთა მინისტრი თავადი შერბატოვი და სამხედრო სამინისტროს გამგე გენერალი პოლიკანოვი.

# ჟურნალ-გაზეთებიდან

**ებრაელების გამოდევნა რუმინიიდან.**

ოდესის გაზეთები იუწყებიან, რომ რუმინიიდან ჩამოსულმა ამბავი მოიტანა, პრემიერ ბრატიანუს განკარგულებით რუმინიის საზღვრებიდან ყველა ებრაელები გამოდევნილ იქნენო. მათ დასტოვეს თავიანთი სახლკარი და ქონება. ყველა მოსაზღვრე გზებზე ებრაელების ქარავანს დასასრული არა აქვს.

ამავე დროს მოსაზღვრე ადგილებში ავსტრიელები და გერმანელები თავისუფლად დადიან და ცხოვრობენ. რუმინიელთა სატახტო ქალაქში ავსტრიისა და გერმანიის ემისარები ირევიან და მრავალი სასტუმრო მხოლოდ მათ უჭირავთო.

**ოსმალები დღევანდელ ბრძოლაში.**

„კავკასკოე სლოვოს“ კორესპონდენტი იუწყება: არსებითი განსხვავება დეკემბრის ბრძოლისა და ეხლანდელ ბრძოლის შორის იმაში გამოიხატება, რომ ოსმალებს ეხლა მეტი სასროლი მასალა აქვთ.

ფეხთ აცვიათ ქალმების მსგავსი ფეხსაცმელი. თუ ესეთი ფეხსამოსი ზამთარში გამოუსადეგარი იყო, ეხლა მას დიდი უპირატესობა აქვს, ვიდრე მძიმე წაღებს, რადგან მთებზე სიარული და ხტომა ჩექმებთან შედარებით გაცილებით უფრო ადვილია.

**რუმინია—რუსეთის საზღვარზე.**

„რუსკოე სლოვოს“ დეპეშით ატყობინებენ მაგილიოვ-პოდოლსკიდან, რომ მდინარე პრუტის ნაპირას მდებარე სოფლებიდან ჩამოსულ გლეხების ცნობით რუმინია რუსეთის საზღვარზე ჯარებს აგროვებსო.

**შვეციის მზადება.**

გაზეთების ცნობით, შვეცია დიდ მზადებაშია. თავის მოქმედებას ჯარის გადასხმას და სურსათის თავმოყრას ანდომებს. სამხერხაო ქარხნების მატორიან ნავებს და გემებს აგროვებენ და ცდილობენ, რომ სხვა და სხვა მდინარეებიდან ბოტნიკურ სრუტეში ჯარსა თუ [illegible] მარტო ამ გემებს 40000 ჯარისკაცი გადაჰყავს. შვეციის ჯარის მატერიალურად უზრუნველყოფა უკვე დამთავრებულია და, შეიძლება ითქვას, რომ ზედმეტადაც არის უზრუნველყოფილი, ნამეტნავად უზრუნველყოფილია ზარბაზნებით, ტყვიისმტყორცნელებით და სხვა სამარ მასალით.

ქ. ბოვორში ქარხანას შეუძლიან იმდენი იარაღი მიაწოდოს შვეციის ჯარს, რომ ომის დასრულებამდე ეყოს. (კ. ს.).

**ტყვეების მდგომარეობა გერმანიაში**

სამხედრო ექიმმა ბრუნს ვოლფმა გერმანულ გაზეთებში დასტამბა წერილი, სადაც უარს ჰყოფს, ვითომ გერმანელები ტყვეებს ცუდად ეპყრობოდნენ. მისი სიტყვით, ნიურენბერგში ტყვეთა ერთი ბანაკი თვითვე ნახა, სადაც მოთავსებული იყო 3,000 ტყვე, მიყვანისათანავე ექიმს აუწონია 63 კაცი. შემდეგ მათ წონავდა კვირაში ორჯელ. 41 ტყვეს წონაში არაფერი დაჰკლებია, 5 ტყვეს წონაში დაჰკლებია, მათში ერთი ფრანგი ყოფილა, მაგრამ მათივე სიტყვით საჭმელ-სასმელი საკმაოდ ჰქონიათ, ფრანგს მშობლებიდანაც კი მოსდიოდა საჭმელი, მაგრამ მიზეზი წონაში დაკლებისა სხვა რამ ყოფილა. ოთხი ჯარისკაცი კი რუსი ყოფილა და მათი დასუსტება მხოლოდ ოპერაციას გამოუწვევია. 17 კაცს წონაში მოუმატნია.

ასეთ სარეკლამო წერილს სწერს სამხედრო ექიმი.

**დეპუტატი მასონი.**

„რეჩმა“ ნეკროლოგი დაბეჭდა დეპუტატ მასონის შესახებ, რომელიც, გერმანელებმა დაჰხვრიტესო. ბელგიური გაზეთი „მეტროპოლი“ იუწყება, რომ მასონი ცოცხალია და ჯანმრთელად ცხოვრობს მონსშიო.

**გერმანელი ქალები ქარხნებში**

„Times“ იუწყება, რომ გერმანელი ქალები მამაკაცთა როლს ასრულებენ სამხედრო მასალების ქარხნებშიო. მათი რიცხვი უკვე ნახევარ მილიონზე მეტია. საინტერესოა, რომ ქარხნებში ბავშვებისთვის განსაკუთრებული აკვნები აქვთ დამზადებული, რომ ბავშვებიც ზარდონ და ქარხნის სამუშაოსაც არ უღალატონ.

**ბრძოლა დასავლეთ ასპარეზზე.**

„Torn Post“-ი სწერს: „გერმანელები განაგრძობენ ინგლისელთა პოზიციების ნგრევას. ზარბაზნების სროლა წუთითაცარ შეუწყვეტიათ. გასაოცარია გერმანელთა საპიორების დაუღალავი ენერგია. დილიდან საღამომდე თხრილებს ჰკვეთავენ ინგლისელთა ტრანშეების ქვეშ. გერმანელთა ქვეითი ჯარის სულიერი მდგომარეობა შეირყა. თუ თხრილებში კიდევ ყოჩაღად არიან, ეს უნდა მიეწეროს ტყვიისმფრქვეველების აუარებას. გაშლილ ბრძოლის ველზე გერმანელები ძველ სიმტკიცეს ველარ იჩენენ. საყურადღებოა ის გარემოებაც, რომ გერმანელები იძულებული ხდებიან ბოლომდე იბრძოლონ, ბევრიც რომ ისურვონ, ვერსად გაიქცევიან. ნოტრ-დამ დე-ლოტარას მახლობლად ერთხელ გერმანელებს ყოველ მხრით მოუხდათ ბრძოლა, რკინის კარები კლიტით დაკეტილი დახვდათ და ასე თავ-განწირვით იბრძოდენ მთელი დღე-ღამის განმავლობაში“.

**გერმანიის ზავის პირობები სერბიასთან.**

ნამდვილ წყაროებიდან იტყობინებიან, რომ ავსტრია-გერმანიამ სერბიას წინადადება მისცა, სეპარატიული შერიგება მოხდეს ჩვენს შორისაო. ეს წინადადება ავსტრია-გერმანიის ელჩმა მოახსენა სერბიის მთავრობას ნიშში, მან განუცხადა:

სერბია მიიღებს ტერიტორიის კონპენსაციას და ადრიატიკის ზღვაში მოქმედების უფლებას, ეს კი მხოლოდ მაშინ მოხერხდება, როცა ალბანეთი მის მფლობელობაში გადავა.

ავსტრიისა დი გერმანიის აზრით, იტალიის ომში ჩარევა და საბერძნეთისგან ეპირის დაპყრობა ისეთს მდგომარეობას ჰქმნის, რომ არა თუ მოვითხოვთ ალბანეთის დამოუკიდებლობას, არამედ ჩვენ ყოველგვარ შემთხვევაში არავითარ სარფას არ ვეძიებთ და მოვითხოვთ რომ ალბანეთი მთლად სერბიას გადაეცეს.

გერმანელები თანახმანი არიან შეასწორონ ავსტრიის და სერბიის საზღვრები და თივმდებლადაც ვსდგებით, რომ სერბიის ტერიტორიას ხელი არავინ შეახოს. ასეთი პირობა სერბიისთვის მით უფრო ხელსაყრელია ამ ჟამად, როცა ოთხთა შეთანხმებამ წინადადება მისცა ბოლგარიას ომში ჩაერიეო, რის გამოც სერბიის მაკედონიის მიცემას ჰპირდება.

სერბიის ელჩმა მოისმინა გერმანიის ელჩის წინადადება, მაგრამ სეპარატიულ შერიგებაზე უარი განაცხადა. გერმანიის ელჩი იმავ დღესვე ნიშიდან წავიდა. როგორც ეხლა დეპეშა გარდმოგვცემს, სერპიის საზღვარზე ავსტრო-გერმანია დიდძალ ჯარს თავს უყრისო. „დენ“.

# პრესა

„თან. აზრმა“ ჩვენ და „სახალხო“-ელებს მეთაური გვიძღვნა. რაც ჩვენ შეგვეხება, მოკლედ მოვჭრით: „საქართველო“-ელები ბურჟუები არიანო.

არსებითად არ გამოვედავებით „აზრს“. კერძო საკუთრების განმტკიცება ჩვენში და ეროვნულ ვაჭრობა-მრეწველობის განვითარება ჩვენი ეკონომიურ პროგრამის ქვაკუთხედია, იგი ერთად-ერთი საძირკველია ქართველ ერის მომავლისა, მისი ძლიერებისა, მისი ბედისა. „სახალხო“-მაც **ძალიან** კარგად იცის, რომ ეს არის ჩვენი ეკონომიური მრწამსი, იცის აგრედვე რომ „საქართველო“ „კლდეზე“ აღმოცენდა, ისიც იცის თუ რა იყო „კლდე“. მაგრამ რაღაც გაუგებარის დაჟინებით ჩაგვაცივდა: გვითხარით—ვინა ხართ, რა ხართ, საიდან მოდიხართ და რა გქვიანთო. ვინცა ვართ და რაცა გვქვიან—ეს ხილულთათვის სამ წელიწადში საკმაოდ გამოირკვა, ხოლო ბეცთათვის შეიძლება მალე გამოირკვეს, რაც შეეხება „სახალხოს“ დაჟინებას, შეიძლება გვაიძულონ მისი კითხვები უკანვე დავუბრუნოთ და ვკითხოთ: თქვენ თვითონ ვინა ბრძანდებით, ან სახელი თქვენი რა არის? ჩვენ კარგად ვიცნობდით თქვენს მამას, ნათლიას, წინაპრებს, თქვენ კი... მაგრამ სანამ კითხვას დავუბრუნებდეთ, ერთი რამ უნდა ეკითხოთ „სახალხოს“: როგორ ჰგონიათ, სასარგებლო და საჭიროა თუ არა ქართველ ერისთვის **ეხლა**, ამ შავბნელ დროს ერთმანეთის გამოკითხვა, გამიჯვნა, ჩაციებითი ჩხრეკა ერთმანეთისა და ძველი სარეცხის საქვეყნოდ გაფენა? ჩვენი პასუხი ასეთია: არა, არც საჭიროა, არც სასარგებლო. საამისო დრო ჯერ არ მოსულა, და როცა მოვა, ვარწმუნებთ „სახალხოს“ რომ არავის დავემალებით, არაფერს მოვერიდებით და მის ცნობისმოყვარეობას სავსებით დავაკმაყოფილებთ. ერთსაც ვითყვით: თუ „სახალხო“ მაინც და მაინც მოისურვებს ჩვენსა და მათ შორის **ეხლავე** მიჯნის ჩაგდებას და საზღვრის გავლას, მწუხარებით, ძალაუნებურად უნდა გავყვეთ მას და გავიყოთ რაც გასაყოფი გვაქვს.

ვუბრუნდებით „აზრს“, რომელიც ჩვენ და „სახალხო“-ელებს გვახასიათებს და ჩვენ შორის მიჯნასი სდებს. იგი სწერს:

„სახალხოელთა“ ბანაკი დიდ ფაცაფუცშია. მას „შინაური მტერი“ გაუჩნდა. ეს არის ე. წ. ნაციონალ-დემოკრატიული ჯგუფი, რომელიც თავს იყრის გაზეთ „საქართველოს“ გარშემო. ფედერალისტების ახმაურება ადვილი ასახსნელია. ნაციონალ-დემოკრატთა გაძლიერება მათი დასუსტებაა. და აი, „ეროვნული“ პარტიაც ამხედრდა მომხდურთა ასალაგმავად.

თუ „სახალხოს“ დაუჯერეთ, „საქართველოს“ ჯგუფი „უსუსურ და ცხოვრებისაგან გარიყულ“ ელემენტებისაგან შესდგება. თუ ეს მართალია, რაღა საჭიროა ქუდზე კაცის მოწვევა? უსუსური და უნიადაგო თავისთავათ გაქრება. არა, ფედერალისტთა ახმაურების მიზეზი უფრო [illegible], მათი მდგომარეობა უფრო სერიოზულია, ვინემ თვით „სახალხოელნი“ ფიქრობენ.

მოხდა ის, რაც უნდა მომხდარიყო, რასაც ჩვენ კაი ხანია ველოდით. ქართველი ბურჟუაზია შეკავშირებას შეუდგა. დღემდის ის ფედერალისტთა ბანაკს ეკედლებოდა და ამ გზით სცდილობდა დემოკრატიული პარტიის, მესამე დასის დასუსტებას. მარა, აი, ბურჟუაზია მოღონიერდა. დღეს მას საკუთარი ბუდე ესაჭიროება და დამოუკიდებელ პარტიას აარსებს.

„სახალხო“ელთა ჯგუფი

მუდმივ რყევას განიცდის, მის გულში ორი სული ტრიალებს. ერთი დემოკრატიას ეარშიყება და ამიტომაც ბურჟუაზიას იშორებს, მეორე სული გაბატონებულ საზოგადოებას ელოლიავება, დემოკრატიის უნდობლობას აღვივებს. ფედერალისტური პარტია—ეს ორპირი იანუსია იმ გარჩევით, რომ მისი ორივე სახე მკრთალია. აი, სათავე ამ პარტიის წაჯექ-უკუჯექობის.

„აზრი“ ამტკიცებს, რომ ეს ჯგუფი დასუსტდა, იგი აუცილებლად უნდა გაიწმინდოს, უნდდა გასუფთავდეს და რაც უფრო ადრე შეიგნებენ ამას „სახალხოელნი“, მით უკეთესი მათთვის. ამის შემდეგ ფედერალისტებს ორი გზა დარჩენია: ერთი, და თან უმთაერესი ნაწილი ნაციონალ-დემოკრატებს შეუერთდება, ხოლო მეორე და უთუოდ მცირე ნაწილი, უფრო გარკვეულ ბურჟუაზიულ-დემოკრატიულ პროგრამას წამოაყენებს. ვინც ამას ვერ ამჩნევს და ფედერალისტთა ისევ ძველ ნიადაგზე შეკავშირებას ლამობს, მას სასტიკი დამარცხება მოელის.

ამას ერთი რამ უნდა დავუმატოთ: ეს „დამარცხება“ ადრევე მოხდებოდა, „აზრელებს“ რომ ეროვნული საკითხი გაერკვიათ და **პრაქტიკულად** შესაძლებელ ფორმაში ჩამოეყალიბებინათ. ამ რიგად, „სახალხო“-ელთა უფრო მკაფიო ჩამოყალიბებაც „აზრელების“ ხელშია.

***

„რუსკია ვედომოსტში“ ფ. ფ. კოკოშკინი რჩევას იძლევა, თუ რა გზით უნდა მოეწყოს „გამარჯვების ორგანიზაციაო“. იგი ამბობს:

თუ გვინდა საქმის მდგომარეობა გამოვარკვიოთ, ჩვენ მარტო დღევანდელ მომენტს კი არ უნდა მივაპყრათ ჩვენი გონიერება და მხოლოდ ჩვენს საკუთარს შინაურსა და საომარ საქმით შემოვიზღუდოთ ჩვენი თავი, არამედ უნდა გავაფართოვოთ ჩვენი ჰორიზონტი და ახლანდელ მდგომარეობას და განცდას უნდა შევხედოთ, როგორც მსოფლიო დრამის მოვლენას. **ეხლანდელ ომს ეროვნებათა განმათავისუფლებელ ომს უწოდებენ და ეს არ არის პიტალო, ცარიელი სიტყვა,** არამედ ცხადი სიმართლე, უფრო რეალური ჩვენთვის, ვიდრე იგი ჩვენს საზოგადოებასჰგონია. ნუ დაავიწყდებათ, რომ საქმე მარტო რუსებისთვის თავისუფლებისა და მათის ბედნიერებისთვის არ სწარმოებს. ჩვენ არ უნდა ვეჭვობდეთ საბოლოო გამარჯვებას, მაგრამ არც ის უნდა გვეგონოს, თითქოს გამარჯვება ბედი გვანიჭებდეს. გამარჯვება ჩვენსავე ხელთ იმყოფება. უწინარეს ყოვლისა ჩვენ ვსაჭიროობთ ძალთა შეჯგუფებას და მათს ორგანიზაციას. ყველამ თავის მოვალეობა უნდა მოიხადოს, ყველას უნდა მიენიჭოს უფლება თავის მოვალეობა შეასრულოს და უნდა მიეცეს ყველაფერი, რაც კი მისის ძალისთვის, ორგანიზაციისთვის და გამარჯვებისთვის საჭიროა. ეს არის ჩვენი საერთო საკითხი.

თანდათან იშვიათად ისმის სიტყვები შესახებ იმისა, რომ ეს ომი ერთა განთავისუფლების ომიაო. ისიც ისეთები იმეორებენ ამას, რომელთაც საკუთრივ თავიანთთვისაც ვერაფერი მოვუპოვებიათ, სხვებს კი სამოთხეს ჰპირდებიან ამ ქვეყნად. რა ფასი აქვს ასეთ დაპირებას—ეხლა უკვე ყველამ გაიგო.

# ახალი ამბავი

**✦ შესახებ საექიმო ფაკულტეტის გახსნისა თბილისში.** 13 ივნისს საგანგებო კრება ჰქონდა კავკასიის სამკურნალო საზოგადოებას. კრებას მოხსენება წაუკითხა ექიმმა ა. ა. არუთინოვმა თბილისის უმაღლეს საქალებო კურსებთან საექიმო ფაკულტეტის გახსნის საჭიროებაზე. კრებას, სხვათა შორის, დაესწრნენ პროფესორები კრილოვი და მიროტვორცევი, ქალაქის მოურავი ა. ი. ხატისოვი და ექ. ფეხნერი. მოხსენების შესახებ კრებამ ის აზრი გამოსთქვა, რომ 1) ფაკულტეტის გახსნა უთუოდ საჭიროა არა მარტო კავკასიისათვის, არამედ მთელ რუსეთისათვის; ფაკულტეტის გახსნის მომხრენი არიან მთავრობის დაწესებულებათა უმაღლესი წარმომადგენელნი და მთელი საზოგადოება; 2) ღონისძიება ფაკულტეტის შესანახად აღმოჩნდება: ფაკულტეტს შეუძლიან ისარგებლოს მიხაილოვისა, სამხედრო და არამიანცის საავადმყოფოთა მოწყობილებით და აგრეთვე ნავთლუღში აგებულ გადამდებ სენით ავადმყოფთათვის შენობებით, რომლებსაც უთუოდ თბილისს დაუთმობს ქალაქებთა კავშირი; ამასთანავე კურსების მსმენელთაგანაც კარგა ბლომა თანხა შედგება; 3) რაც შეეხება პროფესორებს, პირველი ორი წლის განმავლობაში ლექციებს წაიკითხავენ საბუნებისმეტყველო ფაკულტეტის პროფესორები, ხოლო შემდეგ მოწვეული იქნებიან რუსეთიდან საკმაო რიცხვი პროფესორებისა.

**✦ სამხედრო სამრეწველო კრება.** 28 ივნისს თბილისში უნდა შესდგეს სამხედრო-სამრეწველო კრება, რომელზედაც მოწვეულნი არიან წარმომადგენელნი ბაქოსა და გროზნის ნავთის მწარმოებელთა, ჭიათურის შავი ქვის მწარმოებელთა, სხვა და სხვა დაწესებულებისა და კავკასიის ქალაქთა. კრებამ უნდა იქონიოს მსჯელობა იმის შესახებ, როგორ აღმოუჩინოს ჯარს დახმარება სანოვაგისა, ტანთსაცმლისა და სურსათის მხრივ.

**✦ ავადმყოფთა რაოდენობა.** ქალაქის გადამდებ სენთა საავადმყოფოში 15 ივნისს იყვნენ ხუნაგიანები 11 კაცი, ქუნთრუშიანი 13, ყვავილიანი 17, სახადიანი 7 და სისხიანი 2.

**✦ ლაზარეთების საჭიროებისათვის.** ქალაქის აღმასრულებელი კომისია სთხოვს კავკასიის ქალაქთა კავშირის თავმჯდომარეს 25.000 მანეთს სამხედრო ლაზარეთების საჭიროებათა დასაფარავად.

**✦ საპოლიტეხნიკო უბნის დათვალიერება.** 14 ივნისს განსაკუთრებულმა კომისიამ, რომელიც შესდგება ინჟინერ ბახმეტიევისა, ა. ს. ბაბოვისა, ე. ფ. გლასევისა და გ. მ. თუმანოვისაგან, დაათვალიერა საპოლიტეხნიკო უბანი, საცა პოლიტეხნიკუმისათვის მიწის მუშაობაა ამ ჟამად. კომისიამ საჭიროდ სცნო მუშაობის გაგრძელება.

**✦ სეირნობისათვის** ქ. შ. წ.-კ. გამ. საზოგადოებას დიდძალი შემოწირულება მოსდის ლოტარია-ალეგრისათვის, რომელსაც საზოგადოება მართავს სეირნობასთან ერთად 21 ივნისს. შემოწირულებათა შორის ბევრი ძვირფასი ნივთია. ნივთების შესანახად თავად-აზნაურობის მამულის გამგემ ორი ოთახი დაუთმო საზოგადოებას.

**✦ სახელოსნო გამგეობაში.** ამას წინად ხელოსანთა უსტაბაშებმა აირჩიეს თბილისის ხელოსანთა მოურავად ი. ნ. ფარსეღოვი. უსტაბაშის კანდიდატად აირჩია პარიკმახერთა ამქრის უსტაბაში ბ-ნი მხეიძე.

**✦ ქუჩების გაწმენდის შესახებ.** თბილისის პოლიცმეისტერს მრავალი შუამდგომლობა მისდის იმის შესახებ, რომ ნიაღვრებისაგან გაფუჭებულ ქუჩებს ქალაქის გამგეობა არ ასუფთავებს, რის გამო ბევრს ქუჩაზე ეტლების მიმოსვლა შეუძლებელია და გვიშველეთ რამეო. ასეთი შუამდგომლობა სამხედრო უწყებასაც აღუძრავს, რომელიც ძალიან უჩივის ნაძალადევში მიმოვალ გზას, სადაც ყაზარმები ჯარის კაცთათვის.

**✦ სანოვაგე.** 14 ივნისს მოტანილი თბილისში: ფქვილი 17 ვაგ., ფხვნილი შაქარი 1 ვაგ., მარილი 2 ვაგ., ქერი 2 ვაგ., ბზე 1 ვაგ., შეშა 18 ვაგ., ქვის ნახშირი 1 ვაგ., ნავთი 1 ვაგ., ახალი ხილი 1 ვაგ., სანთელი 2 ვაგ., ბრინჯი 480 ფუთი., წვანილეული 400 ფუთი., კვერცხი 283 ფ., კარაქი 115 ფ., რკინა 384 ფ. ახალი თევზი 236 ფ., ღვინო 507 ფ.

**✦ [illegible]** რომელიც შესდგებოდა [illegible], ქალაქის ხუროთმოძღვრისა და სხვათაგან, 14 ივნისს დაათვალიერა ბაგრატიონის ვიწრო ქუჩაზე სალამბეგოვის სახლი, რომელიც საშიშრად იცნა და გადასწყვიტა მისი დაქცევა. ამისათვის მეზობელი სახლებიც უნდა დასცალონ მდგმურებმა.

**✦ სამკერვალო სკოლაში.** ათს თიბათვეს ქართველ ქალთა ამხანაგობის სამკერვალო სკოლაში ჭრა-კერვის გამოცდები იყო დანიშნული.

ექსპერტებს, რომელნიც დაესწრნენ გამოცდას და დაწვრილებით დაათვალიერეს მოწაფეთაგან შეკერილი კაბები და ხელოვნურად ნაქარგი და ნაკერი ნივთები, ძალიან მოეწონათ ყველაფერი და მოწაფეებს მიულოცეს ჩინებულად მომზადება.

ორმოცდა რვა ქალმა ჩააბარა გამოცდა და თითქმის ყველამ კარგად, ხუთმაექვსმა იმათგანმა კი ჩინებულად, და ყველა 48-მ მიიღო **ხელოსნის** ხარისხის ატესტატი. 12 ივნისს გახარებული მოწაფენი გაემგზავრენ ექსკურსიით მცხეთას, სადაც მასწავლებელთა ხელმძღვანელობით დაათვალიერეს ისტორიული სიძველენი მცხეთისა.

აი სია კურს დამთავრებულთა.

მარიამ ალიაშვილი, ნინო კოლელაშვილი, პელაგია ახალაძე, ელენე გიუტაშვილი, დარია ბიჭაშვილი, სარრა გიორგაძე, ნინო ბარბაქაძე, ნინო სვიმონიშვილი, თეკლე ბოლქვაძე, ოლღა გოჩიტაშვილი, ეკატერინე ბურძგლა, თამარ სვიმონიშვილი სოფიო გოგვაძე, მარიამ კოჭლამაზაშვილი, თამარ დენისოვა, ანნა მირიანაშვილი, თამარ დალაქიშვილი, მარიამ პატარქლიშვილი, თამარ კიკნაძე, მარიამ ნასიძე, ელისაბედ მერკულოვა, სირანუშა სარქისოვა, მარიამ მიქელაძე, ევა სულთანავა, მელანია ქეშალაშვილი, ელენე შალტაური, ბარბარე ჯიქური, ეფემია ქარუმიძე, მარიამ ჩითინაშვილი, ოლღა ირემაშვილი, ანნა არჯევანიძე, ოლღა ბერიძე, პელაგია სულაძე, მატრონა გოგიბედაშვილი, სოფიო კაკაბაძე, თამარ ჰეჭინაძე, ნატალია ნატროშვილი, ანნა გელაძე, ანნა გოჩიტაშვილი, დარია მაღალაშვილი, სოფიო ელისაბედაშვილი, ადრისტინე ლებანიძე, ეკატერინე ქობულაშვალი, სოფიო ტორიკაშვილი, ელისაბედ თუხარელი, ბარბაქაძე, თამარ შავლოხაშვილი, მარიამ დუმშოვსკაია.

**ქუთაისი.**

13 ივნისი. მთელი გუბერნიის ყოველ მაზრაში დაგზავნილია სამეურნეო სკოლის მოწაფენი, რომ ჯარისკაცთა ოჯახებს დაეხმარონ მინდვრების დამუშავებაში.

## ქართველი მარქსისტები და ავსტრია-გერმანიის ოინები*)

(წერილი შვეიცარიიდან).

რუსულ ჟურნალ „სოვრემენი მირ“-უკანასკნელ გამოცემაში ყოფილი დეპუტატი გ. ალექსინსკი მოუთხრობს მკითხველებს, თუ როგორ ცდილობდა სამთ კავშირი (გერმანია, ავსტრია და ოსმალეთი) ქართველ სოციალდემოკრატების გულის მოგებას ევროპაში და როგორი პასუხი მიიღო მათგან. ერთ ჩემ წერილში მე მოკლედ გავაცანი მკითხველებს ეს ეპიზოდი (იხ. „ჩვენი აზრი“ № 117). ახლა, როდესაც მთელი ევროპის პრესა ალაპარაკდა ამ ამბებზე და ცნობილმა ფრანგულმა გაზეთმა „ტან“-მა დიდი წერილი უძღვნა ამ კითხვას, ვალდებულად ვრაცხ ჩემ თავს ვრცლად გავაცნო მკითხველს საქმის ვითარება.

ოქტომბრის დამლევს ერთ მარქსისტს, რომელიც მონაწილეობას იღებდა შვეიცარიაში მოწვეულ რუსეთის ქვეშევრდომების დახმარების მოწესრიგებაში, ესტუმრა ჟენევის ვაჭარი. მას ბევრჯერ ჰქონია საქმე სხვადასხვა პირებთან და ეს სტუმრობა არ გაუკვირვებია. ვაჭარმა უამბო მას, რომ ერთი ავსტრიელი ცნობილი პიანისტი პ. რუსეთში მოხვდა ომის დროს, ის დაატუსაღეს და საცხოვრებლად საქართველოში გაგზავნესო. მას ჰყავს მოხუცებული დედა, რომელიც ჟენევაში ცხოვრობს და მეტად იტანჯება შვილის მდგომარეობით. ეგებ რამე და-

---

*) ამ სათაურით „თან. აზრში“ დაბეჭდილია წერილი, რომელიც ერთს ფრიად საინტერესო ამბავს შეეხება. ორიოდე თვის წინად ალექსინსკის წერილმა შესახებ მალოროსთა ყოფაქცევისა ზემოაღწერილ ისტორიაში, დიდი მითქმა-მოთქმა გამოიწვია რუსულ პრესასა და საზოგადოებაში. ალექსინსკის მიერ გამოქვეყნებულ ამბავის გამო ცნობილმა პ. სტრუვემ ისეთის სიმკაცრით გაილაშქრა საერთოდ მალოროსთა ეროვნულ იდეალისა და კულტურის წინააღმდეგ, რომ იგი ერთი კვირის წინად „კადეტების“ კონფერენციამ გაჰკიცხა, რის გამო სტრუვე იძულებული იყო პარტიის ცენტრალურ კომიტეტიდან გასულიყო. მოვაგონებთ მკითხველს, რომ ალექსინსკის წერილში მოკლედ ბ. თეკლათელის ნაამბობიც იყო აღნიშნული, მაგრამ რუსულ პრესას ჟენეველ ქარ. სოც.-ის შესახებ თითქმის ხმა არ ამოუღია. **რედ.**

ხმარება გაუწიოთ მოხუცებულ დედასო. ქართველები საერთოდ ცუდი გულისა არა ვართ, აქ მყოფნი კი მეტად გულჩვილებია. ჩვენმა მარქსისტმა იმ წამსვე მოიპატიჟა ორი სხვა მისი მეგობარი ქართველი და იმათი თანადასწრებით აუხსნა ვაჭარს, რომ საქართველოში კაცებს არა სჭამენ, „ქართველები კულტურული ხალხია, ბუნებაც ლამაზია და თქვენი არტისტი არ არის საშიშ მდგომარეობაში. გადაეცით ეს ჩვენ მაგიერ მის დედასო. ვაჭარმა მადლობა გადაუხადა ქართველებს და, როგორც თითონ სთქვა, წავიდა მოხუცებულ დედის დასამშვიდებლად.

მეორე დღეს ისევ ესტუმრა ზემოთ დასახელებულ ქართველს. „არ ვიცით, რომელ ქალაქშია გაგზავნილი. რუმინიიდან ველით პასუხს, როგორც შევიტყობთ სად არის, ვეცდებით თქვენი შემწეობით ფული მივაწოდოთო. თქვენ ხომ ემიგრანტი ხართ?—შეეკითხა ქართველ მარქსისტს ჟენეველი ვაჭარი (ტომით გერმანელი). როდესაც პასუხი მიიღო, დაიწყო გაკვრით ლაპარაკი იმაზე, რომ არის ერთი პირი, რომელსაც სურს ქართველ ემიგრანტებს დახმარება გაუწიოს. ის ვერ დაასახელებს იმ პირს, რომელიც დიდ დახმარებას გაუწევს ქართველებს. არაფერს არ თხოულობს ქართველ სოცალ-დემოკრატებისაგან. საკმარისია მისთვის, რომ ისინი ემიგრანტები არიან და ოპოზიციონერები, ფულს გადასცემს ზემოთ დასახელებულ ქართველს და ისე მოიხმაროს, როგორც უნდა. ჩვენი სოციალ-დემოკრატი მოელაპარაკა თავის მეგობრებს და შემდეგი პასუხი გასცა: „ქართველი ემიგრანტები არ იღებენ დახმარებას ყოველნაირ წყაროდან. მათთვის აშკარაა, რომ გერმანელი ვაჭრის წინადადება დახმარებაზე საეჭვო წყაროდან გამომდინარეობს. მისი ნალაპარაკევი ვიღაც არტისტზე კომედიის თამაში იყო, წაბრძანდი იქითკენ, საიდანაც მობრძანებულხარო".

ნოემბრის შუა რიცხვებში ქართველ სოციალდემოკრატებს ახალი პირი ეწვია. ეს იყო დელეგატი „უკრაინის კავშირისა", რომელიც მოღვაწეობს ვენაში. მან მოისურვა ქართველებთან მოლაპარაკება. ერთ იაფ-ფასიან სასადილოში მოხდა ეს მოლაპარაკება. ქართველმა მარქსისტებმა ამ მოლაპარაკებაზე მოიწვიეს ერთად-ერთი ქართველი ნაციონალისტი, რომელიც ჟენევაში იმყოფებოდა*). „მალოროსიის დელეგატმა" გვაჩვენა მისი პიროვნების დამამტკიცებელი საბუთები და შემდეგ გადმოქვცა: ვენაში შესდგა კომიტეტი, სადაც შედის მალოროსების ყველა პარტიის წარმომადგენლები კონსევატორებიდან დაწყებული სოციალ-დემოკრატებამდის (თვითონ დელეგატი კონსერვატიულ პარტიას ეკუთვნოდა). კომიტეტს დახმარებას უწევს ავსტრიის მთავრობა. ჩვენ გვინდა გავანთავისუფლოთ უკრაინა, დავეხმაროთ ქართველებს. საჭიროა ჩვენთან შეერთება და სხვა. ჩვენ არაფრად მოგვეწონა ასეთი მომართვა. ამ დროს ავსტრიის სოციალ-დემოკრატებზე მეტად გულნატკენი ვიყავით. როდესაც დელეგატმა გადმოგვცა, თუ ისინი როგორი საშვალებით ებრძვიან პოლონელებს ავსტრიაში, გაგვახსენდა მრავალტანჯული ებრაელები ვარშავაში. ჩვენი დელეგატის ენა მეტად მოუხეშავი და ჩვენი ყურისთვის მიუკარებელი იყო. როგორც პიროვნება, ის ცუდ შთაბეჭდილებას ახდენდა ჩვენზე. მაშინ ოსმალეთს ომი ჯერ არ ჰქონდა გამოცხადებული. ვენის დელეგატი დიდ იმედებს ამყარებდა ოსმალებზე მისი აზრით, ოსმალებს უნდა ვიღაც გაენთავისუფლებინათ. „ვაის გავეყარე და ორჯერ უდიდეს უის შევეყარე"—სწორედ ეს იყო.

ჩვენი პასუხი მოკლე იყო: „შევიკრიბებით ქართველი სოციალდემოკრატები და პასუხს მოგცემთო". ჩქარა მოხდა ქართველ სოციალდემოკრატების ცალკე კრება, სადაც ერთხმად უარყოფილ იქნა ვენის კომიტეტის წინადადება. გადავეცით: ჩვენ ვერ დავმალავდით იმ ნათელ ფაქტს, რომ ჩრდილოეთის ყინვა-სიცივე არ გვიყვარდა. ვთქვით ისიც, რომ არა ვართ ალტაცებული „ტუნდრა-ტაიგით". ჩვენთვის აშკარა იყო, რომ ვერ ვილაპარაკებდით მთელ ქართველ სოც.-დემოკრატების სახელით. ჩვენ ვილაპარაკეთ ჩვენი სახელით. არაფერი დიპლომატები ჩვენ არ ვიყავით, რომ თავი მოგვეჩვენებია ევროპაში, ვითომ დიდი კავშირი გვაქვს საქართველოსთან და მისი სახელით ვლაპარაკობთ, თუმცა ეს ჩვენ უფრო შეგვეძლო, ვიდრე სხვას. რაც შეეხება „სპარსეთის პოლიტიკას", ჩვენ არც ისე გამოუცდელი ვიყავით, რომ ერთ უკრაინელ კონსერვატორს შევეცდინეთ. ამ ომში განმათავისუფლებლებს ჩვენ ვერ ვხედავდით, ხოლო რა საშიში იყო ჩვენი ქვეყნის ბრძოლის ველად გადაქცევა, ეს ჩვენთვის აშკარა იყო. ჩვენი პასუხი გამოვაქვეყნეთ. ეს მით უფრო საჭირო იყო, რომ „ვენის კომიტეტის" აგენტები დაძრწოდენ მთელ ევროპაში და ქართველ მარქსისტებს, თუ სადმე ისინი ეგულებოდათ, სანთლით ეძებდენ. ჩვენმა საჯარო პასუხმა მათ ნავარდს ფრთები შეაკვეცა. ჩვენ ვიცით, რომ ვენის კომიტეტში, სადაც შედიან თითქმის ყველა უკრაინელი დეპუტატები ავსტრიის პარლამენტში, ქართველ სოციალ-დემოკრატების პასუხმა დიდი ალიაქოთი გამოიწვია. უსათუოდ ისინი ვიღაცას დაერწმუნებია, რომ ქართველები თქვენთან არიანო. „რატომ ჟენეველებს კონსერვატორი დელეგატი გაუგზავნეთ? მათთვის ვინმე სოციალდემოკრატი უნდა გაგეგზავნათ",—ამბობდენ „ვენის დიპლომატები",—თითქოს ამით რამე გამოიცვლებოდა! იმათ ავიწყდებოდათ, რომ ჩვენ ალბანელები არ ვიყავით. ალბანელებს ხან ერთი სახელმწიფო დაურიგებს იარაღს, ხან მეორე. ისინი დღეს ერთისთვის იბრძვიან, ხვალ მეორესთვის. მაგრამ რაც შეფერის ალბანელებს, არ შეფერის ქართველებს. მეორე მხრივ „ვენის" დიპლომატები" აალელვა ჩვენმა საჯარო პასუხმა მით უფრო, რომ ეს პასუხი მათ სუბსიდიებზე იმოქმედებდა, ხოლო სუბსიდიები არც ისე ცოტა იყო; როგორც გადმოგვცეს, ორ მილიონ კრონამდის ადიოდა. მაგრამ ჩვენ არ ვიყავით დამნაშავე საჯაროდ პასუხის გაცემაში. ჩვენ შევკრიბეთ საკმარისი ცნობები, თუ ვისთან გვქონდა საქმე. ჩუმს, ფარულ დიპლომატიას ჩვენ ვებრძვით. რასაც თეორიაში ვებრძვით, იმის მომხრე არ ვიქნებოდით ცხოვრებაში.

საფრანგეთის ბურჟუაზიული პრესა დღეს ჩვენს საქციელს იწონებს. ჩვენ კი ამ პრესას არ ვიწონებთ. გაზეთ „ტანს" დიდი დანაშაული მოუძღვის ჩვენს წინაშე. ცოტა, თუ დიდი არა, მის „წყალობაც არის, რომ ჩვენ სამშობლოს დაშორებული ვართ.

ბ. თეკლათელი.

# შხამიანი გაზები

ერთ ინგლისურ გაზეთში ნეიტრალურ სახელმწიფოს მიმომხილველი უარჰყოფს იმ იმედს, ვითომც გერმანიის დაპყრობა შიმშილით შეიძლებოდეს. ყოველ დღე ცხადი ხდება,—ამბობს მიმომხილველი—რომ გერმანიას გაცილებით მეტი სურსათი ჰქონია, ვიდრე თვით გერმანელებს ომის დაწყებამდე ეგონათ.

გერმანია თავის ადგილმდებარეობით აღარ გრძნობს, რომ იგი ქვეყნის ნაწილს შეადგენს.

იგი მოწინააღმდეგე სახელმწიფოთაგან გარშემორტყმულია და მხოლოდ თავის თავის იმედი აქვს და საკუთარის მოხერხებით და სურსათით ირჩენს თავს, მაგრამ იგი კარგად არის გამაგრებული და სანოვაგეც უხვად მოეპოვება. დიდებულად მოწყობილ კავშირსა და ორგანიზაციას ჯერ არსად ფეხი არ წაუბორძიკებია. პირიქით, უფრო აფართოვებენ თავიანთ მოქმედებას და თვით ბუნების დანაკლისს ქიმიის და ხელოვნურ საშუალებით ავსებენ. აზოტის ნივთიერებას ჰაერიდან აკეთებენ, ხელოვნურად კაუჩუკის გაკეთება მეტის-მეტად დაუწინაურებიათ, ხოლო იმ ნივთიერების ხელსაგდებლად, რომელიც ჯერ კიდევ საიდუმლოდ არის მსოფლიოში გაფანტული, თმა გათეთრებულ და მოხუცი პროფესორები საკუთარს ოჯახებში და ლაბარატორიებში დღე და ღამ მუშაობენ, რათა თავიანთ სამშობლოს დიდება და სახელი მოუპოვონ.

ამ ჟამად გერმანელები თავიანთ იმედს გაზზე ამყარებენ. ჰააგის კონფერენცია გადაჭრით უკრძალავდა, რომ მებრძოლ სახელმწიფოებს მოშხამული გაზი ეხმარათ, მაგრამ ეს აკრძალვა გერმანელების ეროვნულ სვინდისს ნაკლებად ბლალავს, გერმანელი ქიმიკოსები ფიქრობენ, რომ მომავალში გაზი გაუმჯობესებულ საომარ იარაღად გარდაიქცევა. მოშხამული გაზი, გერმანელების აზრით, ჯერ კიდევ გაუმჯობესებული არ არის. იმის მაგიერ რომ მძიმე ყუმბარები და ტყვია-წამალი აქეთ-იქით ჯარმა ზიდოს, რომლის სიმძიმისგან ჯარიც იღლება და გადაზიდვასაც აუარებელი ხელი სჭირდება, საკმარისია მომავალში შეკუმშულმა ჰაერმა მათი ადგილი დაიჭიროს და ჯაფაც შემსუბუქდეს.

გერმანელები ეხლა იმის გამოგონებაში არიან, რომ საბოლოოდ გააუმჯობესონ მოშხამულ გაზის გადასროლა მოწინააღმდეგის ბანაკში. (დ.)

„Köln. Ztg"-ის კორესპონდენტი პროფესორი ვეგენერი ალტაცებით აღწერს შხამიან გაზების საშუალებით ინგლისთა თხრილების აღებას. გერმანელების ჰაეროპლანები თავს დასტრიალებდნენ ინგლისელების თხრილებს, და თან თვალყურს ადევნებდნენ შხამიან გაზებისგან თავზარდაცემულ ჯარს. ისმოდა ყიჟინა და სასოწარკვეთილი ყვირილი. მოწამლული ჯარისკაცები სიცოცხლეს ეთხოვებოდნენ, ვისაც ჯერ კიდევ შერჩენოდა ფიზიკური ძალა, გარბოდა, უმრავლესოკი მიწაზედ დამხობილიყო და ფართხალებდა. პროფესორი კორესპონდენტი ახალ იარაღის შედეგით კმაყოფილია და დასძენს, რომ „მისთვის სულერთია გაზებით ბრძოლას სამართლიანად ჩასთვლიან, თუ უსამართლოდ. სულერთიაო, განაგრძობს იგი, მტერს რითი მოიგერიებ. რად უნდა ჩაითვალოს სამართლიანად ზარბაზნის ყუმბარებით მთელი არმიის განადგურება და გაზების საშუალებით განადგურება კი უსამართლოდ? არა ღირს იმ გვარ ადამიანების „ყბედობას" კაცი გამოეკამათოს, რომელნიც ასეთსსაშუალებას უზნეობად ნათლავენ. ამ ჟამად უზნეობას თუ ზნეობას, სამართლიანობას თუ უსამართლობას საზომი არა აქვს. განა იტალიამ უზნეობა არ ჩაიდინა, რომ თავის მოკავშირის წინააღმდეგ გაილაშქრა? განა უსამართლობა არ არის რომ გერმანიას მთელი „ხროვა" დაეხვია და მთელს სახელმწიფოში დიდსა და პატარას შიმშილით ამოწყვეტას უქადის?

განა ის კი სამართლიანია, რომ მოწინააღმდეგეს ჰსურს შიმშილით დაგვიპყროს? გერმანიას ახრჩობენ, ყელში უჭერენ ყოველ მხრიდან და რა გასაკვირველია, რომ ყოველმა გერმანელმა ბრჭყალებით და კბილებით იბრძოლოსო?

„რეჩ."

ნეიტრალურ სახელმწიფოს კორესპოდენტი გაზეთ „Times"-ში სწერს, რომ საზოგადოებრივი აზრი გერმანიაში შხამიან გაზების მოგონებას გერმანელების გენიის ტრიუმფად სთვლიან და ამ ახალ საშუალებაზე დიდს იმედს ამყარებენ. შხამიანი გაზებით ბრძოლის საშუალება ყველა სახელმწიფოების ერთად თავმოყრილ ძალას უთანასწორდებაო. ერთი ხიმიკის აზრით რამდენიმე გაზის ბუშტი უფრო მეტს ძალას წარმოადგენს, ვიდრე ათასი ყუმბარაო.

# ყაჩაღები ივრის ხეობაში

შაბათს, 13 ივნისს, ღამის 11 საათზე გურჯაანიდან თბილისში მოვემგზავრებოდით იაგორ აჯიმამადოვი, რაჟდენ ქოზაშვილი, კოლა არაქელოვი, ვლადიმერ ფალიშვილი და კოლა ოქროშიძე. გზად შემოგვხვდნენ ზაქათალის ოლქიდან მომავალი სტრაჟნიკები, რომელთაც ერთი ტუსაღი მოჰყავდათ. მათ ეტლში უჯდათ ბოქაული ნ. ბაქრაძე. ჩვენც მათ შევუერთდით. როცა ივრის მეორე ნაპირს ლაპრიონის ტყეს გამოვედით, წინ გადმოგვეღობნენ ყაჩაღები. მათ წინდაწინ თერთმეტი ანაგურელი გაეძარცვათ, რომელთათვისაც ყოველისფერი წაერთმიათ რაც კი ებადათ. ჩვენი თანამგზავრი იაგორ აჯიმამადოვი მათ წინ გადაუდგა. ამას სროლა მოჰყვა. დანარჩენი ყაჩაღები ეტლს მისცვივდნენ. სიბნელის გამოისად მათ ვერ შეამჩნიეს ეტლში მყოფთა ვინაობა. „აბა ფულიო",—დაუძახეს და თან თოფის კონდახებით დაუწყეს ცემა. მაშინ ბოქაულმა შეჰყვირა: როგორ მიბედავთ, აქ სტრაჟნიკები მყვანან და ცუდ დღეს დაგაყენებთო. ამის გაგონებაზე ყაჩაღებმა სროლა ასტეხეს. ორთავე მხარეს დაიჭრნენ. სტრაჟნიკს ბერდენის ტყვია მუცელში მოჰხვდა, მაგრამ მკვლელს იაგორ აჯიმამადოვმა მაუზერი დასცა და იქვე მოჰკლა. მოკლული აღმოჩნდა მუღალოელი თათარი ალისფერა. რა თქმა უნდა, ჩვენც არ დავდგებოდით გულხელ დაკრეფილი და ყაჩაღებს ჩვენც ჩვენის მხრით სროლა აუტეხევით. სროლა გაგრძელდა ორ საათამდინ. თათრები თავს არ გვანებებდნენ, უნდოდათ მოკლული გაეტაცნათ: „არ წაიღოთ, თორემ ყველას ამოგხოცავთო",—გვიყვიროდნენ თავზე დამცემნი. მაგრამ ჩვენც რომ მედგრად ვუპასუხებდით, მაშინ იკადრეს გაქცევა. მოკლული ივრის ხიდზე ჩამოვიტანეთ და ადგილობრივ ბოქაულს ჩავაბარეთ. ყაჩაღებმა ვერ მოასწრეს განაძარცვის გატაცება. ფულად დარჩათ 594 მან. ეს ფულიც და სხვა დანაძარცვიც ყველა იმავე ბოქაულს ჩავაბარეთ. დაძარცულთა შორის ერივნენ ლელიანელი ვაჭრები...

კოლა ოქროშიძე.

# ჩვენი ცხოვრება

## სასოფლო საქმეები

შემთხვევისა გამო შემთხვევით შემთხვეულ შემთხვევისა შემთხვევით შემემთხვა შემთხვეული შემთხვევა: თბილისის ერთ ფართე ქუჩაზე შემემთხვია ქართველი დიდი და დიდგვარიანი მემამულე, რომელიც ეძებდა ერთ საჭირო კაცის ბინას. რადგან იმ მოსამართლის ბინისკენ მქონდა გზა, მოვახსენე, გამომყოლოდა.

გზა-და-გზა ჩვენ შორის გაიმართა საუბარი სასოფლო საქმეების შესახებ.

— რათ გარჯილხართ, ბატონო!

— დალახვროს ღმერთმა ჩვენი დრო. ათასი წურბელა ატყავებს ისეც გატყავებულს ქართველ მემამულეს. ახლა დაიბადა შულლიც. ძმა ძმის მტერად აფერხდა: შეიქმნა ცილაობა მამულების მფლობელობის შესახებ. რაც მამა-პაპით გეკუთვნოდა, იმას გეცილება ვიღაც შორეული, რომელსაც არც-კი იცნობ. აგრე დამემართა მეც: ამიტეხეს დავა მამულის თაობაზე. საქმე რახანია სწარმოებს, ილუპება მეურნეობა. ახლა ჩამოველ, რომ ეგების როგორმე მოვაგვარო საქმე, რომლის დევნამ ლამის ლუკმა გამომიწყვიტოს.

— ნუთუ მანდამდისაც მივიდა საქმე? რათ უნდა გამოეწყვიტოს ჩვენს მემამულეს ლუკმა? კაცს ჰქონდეს დიდი ნაფუძვრები, ტყეები, მამა-პაპეული სასახლემოწყობილობანი და კიდევ სჩიოდეს სილარიბეზე, ლუკმა პურის გამოწყვეტაზე!

— მაშ ვინც მემამულეა, მდიდარი უნდა იყოს?

— დიახ, შეძლებისამებრ. ააშენე მამული, აშენებულიც იქნები.

— მამულის აშენებას ფული უნდა და ჩვენ ეს არა გვაქვს.

ეგ მართალი არ გახლავს. მე ვიცნობ მრავალ მემამულეს. ფული ათიათასობით გამოუტანია ბანკიდამ და მამული კი არ გაუპატიოსნებია, არამედ მხოლოდ თავის „მუცელი გაუქორებია", დაგირავებულ მამულიდამ აღებული ფული ერთ-ორ კვირაში გაუფლანგავს, გაუნიავებია, თავის შვილებისა და თავის ჩამომავლობისათვის ყელი გამოუჭრია. ვიცნობ იმი-

# ღვინის ახალი საკითხი ჩვენში

(დასასრული. იხ. „საქართველო" № 19)

II.

რაკი რუსეთის ბაზარზედ ღვინის მოთხოვნილება უცბად გაიზარდა, და ეს ბაზარი კი დიდია, ამიტომ, ჯერ ერთი რომ ღვინის ფასმა ძალიან იმატა და, მეორეც ისა, რომ ღვინო თითქმის მთლად გაიზიდა სოფლებიდან. დღეს ქართველ ხალხს, რომელიც უხსოვარ დროიდან არის ღვინოს ჩვეული, აღარ მოეპოვება იმდენი ღვინოც კი, რომ ავადმყოფს ერთი ჭიქა მაინც მიაწოდოს ყუათის მოსაცემად. ამ დანაკლისს ადვილად შევავსებთ, თუ ჩვენი მევენახეები თავს დაანებებენ ჭაჭიდან და თხლიდან არყის გამოხდას და სახლში სასმელ ღვინოს დასაყენებლად მოიმზადებენ. ეს სასურველია იმ მოსაზრებითაც, რომ საზღვარი დაედვას ჩვენს ხალხში არყის სმის გავრცელებას, ამ საშინელ სენს, რომელსაც ცოტა ხალხი არ დაუყენებია გადაგვარების გზაზედ. ჭაჭიდან და თხლიდან ღვინის მისაღებად ორ ხერხსა ჰხმარობენ: ან წყალღვინოს ამზადებენ და ან ჭაჭის ღვინოს.

**ა. წყალ-ღვინო.** ჩვენ ვიცით, რომ ქვევრიდან ღვინის გადაღების შემდეგ აუარებელი ჭაჭა და თხლე რჩება, რომელშიაც გადაღებულ ღვინის მეხუთედი ნაწილი ღვინო მაინც მოიპოვება. ასე რომ, ჭაჭისა და თხლის გამოჭაჭვით საკმაო ღვინო შეგვიძლიან მივიღოთ. როროგორც ვიცით, ღვინის პირველად გადაღების დროს ტკბილის შაქარი ჯერ მთლად არ არის ხოლმე განაწილებული და ამიტომ გადაღებულს ღვინოში თითქმის მთელი თვის განმავლობაში კვლავ სწარმოებს ჩუმი დუღილი. შაქარი, რასაკვირველია, ჭაჭაში და თხლეშიაც არის დარჩენილი და წყალ-ღვინოს დაყენებაში სხვა და სხვა დალექილ და დარჩენილ სხეულებთან ერთად ამ შაქარსაცა აქვს საკმაო მნიშვნელობა. წყალ-ღვინის დასამზადებლად ასე იქცევიან: ჯერ ჭაჭას გამოჰქაჭავენ, მერე გამოქაჭულ ჭაჭას ჩაჰყრიან ქვევრში ან ბოჩკაში, ზედ დაასხამენ 20°C.-დე შემთბარს 4 (ან ნაკლებს) ზომა წყალში შერეულს გამოქაჭულს ღვინოს და დაადუღებენ. რამდენიმე დღის შემდეგ, როცა დუღილი დამთავრდება, ჭურჭელს შეავსებენ, თავს კარგად დაჰხურვენ და ღვინოს ამ გვარად ერთს თვემდის ჭაჭაზედ დასტოვებენ. ამის შემდეგ წყალ-ღვინო მზად არის. ჭაჭიდან გადმოიღებენ, ჭაჭასაც გამოჰქაჭავენ და დასალევად ჰხმარობენ. ამ ღვინის, როგორც ყველა წყალ-ღვინოების დიდხანს შენახვა არ ივარგებს, ალკოჰოლის სიმცირის გამო ჩქარა დაზიანდება; ამიტომ ასეთი ღვინო ან ჩქარა უნდა დაილიოს ან და ბოთლებში ჩაისხას და გრილ ალაგს შეინახოს.

ბევრი გამოქაჭულ ღვინოს ცალკე სასმელად არჩევს და წყალ-ღვინოს მხოლოდ გამოქაჭულ ჭაჭიდან ამზადებს. ამ შემთხვევისათვის ყველაზედ უკეთესი საშუალება შემდეგია: გამოქაჭულ ჭაჭას რიგ-რიგად ჩაჰყრიან თავ-ახდილ ბოჩკაში და კარგა მაგრად დასტკეპნიან; ბოჩკას დაბლა დატანებული საცობელი დაცმული არ უნდა ჰქონდეს. როცა ბოჩკა გაივსება, მაშინ ზევიდან ნელ-ნელა სარწყავით 25°C.-დინ შემთბარ წყალს აწვიმებენ, ისე რომ წყალი ყველგან მოჰხვდეს. წყალს ასხამენ შეუჩერებლივ, სანამ დაბლა საცობელში წყალ-ღვინო გამოატანს. შემდეგ შეჰსწყვეტავენ დასხმას და, როცა საცობლიდან წყალ-ღვინის დენა იკლებს, კვლავ განაგრძობენ სარწყავით გამთბარი წყლის წვიმებას.... და აი სანამ გამონადენი წყალ-ღვინო 4°-დე არ დაიწევს. ამის შემდეგ კვლავ განაგრძობენ ჭაჭის რეცხას, მაგრამ ახალ ნარეცხს სხვა ჭურჭელში შეაგროვებენ და წყლის მაგივრად იხმარებენ სხვა ახალ ჭაჭის გასარეცხად. მიღებულ წყალ ღვინოს ან მაშინვე მიჰყობენ ხელს სახმარებლად ან და დაახლოვებით ერთი კვირის შემდეგ, როდესაც მცირეოდნად გაჩენილი დუღილი დაწყნარდება.

**ბ. ჭაჭის ღვინო.** როგორც უკვე მოვიხსენიეთ, ღვინის გადაღების შემდეგ ჭაჭაში და თხლეში ღვინის გარდა აუარებელი ტანინი, ღვინის სიმჟავე და სხვა მარილეულობა რჩება, მეტადრე თუ ჭაჭა და თხლე ძალიან არ არის გამოქაჭული; და აი, სწორედ ამასა ჰხმარობენ მასალად ჭაჭის ღვინის დაყენების დროს; მხოლოდ ჭაჭა-თხლეს უნდა მიუმატონ ის, რაც აკლია, სახელდობრ, შაქარწყალი და დაადუღონ. ამ მიზნისათვის აიღებენ იმდენსავე წყალს (წყალი მაგარი არ უნდა იყოს, რბილი წყაროს წყალი ყველასა სჯობია), რავდენსაც ღვინოს გადმოიღებენ ქვევრიდან, ვედრა წყალზედ 6-გირვანქა ჩარხლის ულილო შაქარს მიუმატებენ და 25°C.-დინ გაათბობენ. შაქარი რომ გაიხსნება, გამთბარს შაქარწყალს ქვევრში (ან ბოჩკაში) ჩაასხამენ და რავდენიმე ხანი კარგად ურევენ, რომ ჭაჭა და თხლე აირიოს და ჰაერიც ჩაჰყვეს ტკბილს,—ეს აუცილებლად საჭიროა დუღილის დროზედ დაწყებისა და ადვილად დამთავრებისათვის. დუღილის გათავების შემდეგ ჭაჭის ღვინოს გადაიღებენ და ჩვეულებრივ მოუვლიან. ვინიცობაა ღვინო არ იწმინდებოდეს, უმეტეს შემთხვევაში საკმარისია ვედრაზედ 2 მისხალი აფთიაქში ნაყიდი ღვინის სიმჟავის მიმატება, რომ ღვინო ჩქარა გამჭვირვალი გახდეს. ამ გვარად დაყენებული ღვინო შეიძლება თავ ღვინოსაც სჯობდეს, როგორც სიმაგრით აგრეთვე გემოთიც. მაგრამ უპირველეს ყოვლისა ერთს უმთავრეს გარემოებას დიდი ყურადღება უნდა მიექცეს: ჭაჭა და თხლე კარგად უნდა უყოს შენახული, არც დაცხარებული და არც სხვაფრივ დაზიანებული არ უნდა იყოს, თორემ ტყუილად წახდება შრომაც და დახარჯული ფულიც. (ამიტომ თავ ღვინოს გადაიღებენ თუ არა, ჭაჭის ღვინის დამზადებას მაშინვე უნდა მიჰყონ ხელი). დარჩენილ ჭაჭიდან ან ხელმეორედ დაამზადებენ ამავე საშუალებით ჭაჭის ღვინოს—ამ შემთხვევაში საჭირო იქნება ვედრა შაქარწყალს 15 მისხალი ღვინის სიმჟავის მიმატება მაინც—, ან და წყალღვინოს დაამზადებენ იმავე გვარად როგორც ზევით აღწერილი გვქონდა.

მართალია, შაქარზედ აქციზის დროს და განსაკუთრებით ამ სიძვირეში იაფად არ დაჯდება ჭაჭის ღვინის დაყენება, მაგრამ ჩვენ მევენახეთ ადვილად შეუძლიათ, თუ მოინდომეს, უფლება გამოითხოვონ უაქციზოდ შაქრის მიღებისა ღვინის დასაყენებლად. საჭიროა მევენახეთა საზოგადოებამ ჯეროვანი ყურადღება მიაქციოს ამ ფრიად საჭირბოროტო საკითხს და, თუ მისაღებად სცნო, პატარა წიგნაკებიც დაჰბეჭდოს აღნიშნულ ღვინოების დაყენების შესახებ ხალხში გასავრცელებლად.

მ. შალამბერიძე.

სთანა კაცსაც, რომელს მამა-პაპისაგან დარჩა მცირე ქოხი პატარა ეზოთი. ამ ეზოში მან გამართა სავარდე-საწალკოტე, დღეს-ხვალიობით ჰყიდა ყვავილი რკინის გზის მახლობელს სადგურზე და რაღაც ათიოდე წლის განმავლობაში ქოხის ადგილას აიგო სასახლე და მისი პატრონი ფულიან კაცად გახდა. ეს რომ ვარდ-ყვავილით გამდიდრდა, სხვამ გაიჩინოს შინაური ფრთოსანი. მგონი საკრუხე დედლების შოვნას დიდი ფული არ მოუნდება! ქათამი არ გინდა, გაიჩინე ძროხა, ცხვარი, ღორი, ფუტკარი, ცხენი. ესენიც არა, ხელი მოჰკიდე ჭიის მოყვანას, ან და შეიმკე მამული ისეთ პატიოსან და სასარგებლო მცენარეებით, ვითარც არის თხილის ბუჩქი, ქლიავი, ვაშლი, ვარდის ბუჩქი ვარდის წყლის გამოსახდელად, ხელი მიჰყე ბოსტნეულის თესვას, უკეთეს ჯიშის პურეულის მოყვანას და სხ.

— ყველა თქვენი დარიგება თვით ღვთიური სიტყვაა. სწორეთ ჩვენს მიწა-წყალს ეგრეთი მეურნეობა შეჰფერის. მართლაც, როგორც ამ ათიოდე წლის წინად შენიშნა მ. ჯანაშვილმა გაზ. „მოსავალში", ჩვენი კაცი რად უნდა აძლევდეს უპირატესობას კლასიკურ განათლებას და არა მეურნეობას. ქართველი მეურნე კამეჩებს ხომ ვერ ელაპარაკება ბერძნულად და თავის ხარებს კი ლათინურად! ჩვენი მამულები დღეს სრულიად უნუგეშოდ დარჩენილან. მემამულეთა შვილები უფრო ქორ-მეძებრებით ერთობიან, ან ცირკებსა და სალაყბო დუქნებში ალამებენ დღეს. მამული უმუშოდ აღარას იძლევა, ვალიანდება და იყიდება: რამდენი მემამულე უკვე გაღატაკდა! სასიხარულო მხოლოდ ისლაა, რომ უმეტესი ნაწილი გაყიდულ მამულებისა ჩვენი გლეხების ხელში გადადის. მე ვფიქრობ, მემამულეთა შვილები ეგრეთი ბედოვლათები არ იქნებოდნენ, თუ ხელმძღვანელებს მათთვის სიყრმითგანვე ჩაგვენერგა შრომის სიყვარული, გვესწავლებინა რაიმე ხელობა, მეურნეობის ალორძინების რაიმე დარგი. სწორეთ საოცარია ჩვენი საქმე. მემამულე ვარ, მაქვს 5—10 დღის ვენახი, შვილს კი კლასიკურ ფილოსოფიას ვასწავლი! აბა ამ ხელთათმანებითა, ცილინდრით და პრიალად გამოწყობილ „გაჩინონიკებულ" „ფილოსოფოსმა" რა უნდა შესძინოს ჩემს ზვარს ანუ ზვრებს? სრულიად არაფერი. თუ შვილი უსწავლელად დამრჩა, როგორც მრავალს ჩვენს მოძმეს, იმასაც ეთაკილება შრომა: ეგ გლეხ კაცის წესიაო და არა დიდგვარიან მემამულის შვილისაო! და ეძლევა დღეს უკვე გათახსირებულ სასოფლო რაინდობას..,

— განა ეგეთი „რაინდობის" ალაგმვა არ შეიძლება საწოდებრიო სიწმინდე-ღირსების დაცვის მიზნით...

ამასობაში საჭირო კაცის ბინამდე მივსულვიყავით და მე გამოვეთხოვე ჩემს მოსაუბრეს.

**მ. ჯანაშვილი.**

## თეატრი და ხელოვნება

მთელი წლის განმავლობაში გამართულ სამხატვრო საღამოთა შორის თავისი შინაარსით აღემატა ქართ. საქველმოქ. საზოგადოების მიერ გამართული საღამო. პროგრამა მხოლოდ სივრცით თუ დაიწუნებოდა, თორემ თვითეული განყოფილება ერთი მეორეზე უკეთესი იყო.

პირველ განყოფილებაში ა. წუწუნავას მიერ მშვენიერი დადგმული იყო „პირიმზე" ფოცხვერაშვილისა. ეს ერთ მოქმედებიანი ზღაპარი-პოემა უმალვე გიპყრობთ თვის ორიგინალობით. ყოველ შემთხვევაში ასეთი ჟანრის პოემა ჩვენში პირველია. იდეათა ფილოსოფიის დაუშრეტელი წყაროა: კეთილ და ბოროტ სულთა შორის ბრძოლა, მისი გაფართოება, გაშლა და მხატვრულ ფერადებით განვითარება ჩვენ მოგვცემს ერთს თვალსაჩინო ხელოვნურ ნაკვთს, რაიც სეზონის დამამშვენებელ უმჭკნარ ყვავილად გაიშლება. პიესას თან ახლავს მუსიკა. ვით სამარადისო სევდა, მას მისდევს მეტად პრიმიტიული ჰიანურის ერთი სევდიანი მოთქმა, რომელიც თავიდან ბოლომდე ერთფეროვნად ჰკვნესს, რაიც პიესის ღირსებას მოკლე ფარგლებში აქცევს. ჰანგის ვარიაცია, უეჭველია, მას მეტ ღირსებას შეჰმატებდა. პიესამ მხურვალე ტაში გამოიწვია საზოგადოებაში.

საინტერესო იყო მეორე განყოფილებაც. „აბესალომ და ეთერი" ორიგინალური ოპერაა ზ. პ. ფალიაშვილისა. ჩვენ მხოლოდ პირველი მოქმედება ვნახეთ. ნახულით უნდა სიხარულით აღვნიშნოთ, რომ მუსიკის სფეროში ქართველი ერი დიდ ნაბიჯსა სდგავს. ბ-ნ ფალიაშვილს ქართული მოტივები ლამაზად გამოუყენებია. პირველივე ხმა ორკესტრისა გაგრძნობინებთ, რომ თქვენ თქვენი სულის სამეფოში ხართ. აი ხორო ვაჟკაცთა, შორიდან ეხმსავით შეგასმენს მგზავრულს: „ავთანდილ გადინადირა ქედი მაღალი ტყიანი"... აგერ აბესალომი (ბ-ი სარაჯიშვილი), რა აღტაცებას იწვევს იგი, ჰგრძნობთ, რომ ეს სული ჩვენია, ჩვენი. ფალიაშვილის სასიქადულოდ ბ-ნი სარაჯიშვილიც ფრიად კარგს გუნებაზე იყო, რომ თვისი სასალონო ხმა, ვიდრე საოპერო, ისე ლამაზად შეუწყო აბესალომის ტრფიალების ნაზ ყვავილების გაშლას.

ასეთივე სიყოჩაღე გამოიჩინა ბ-ნმა ინაშვილმა მურმანის როლში. პირადად მე პირველად ვხედავ მას და მსურს რაოდენიმე კადნიერი წინასწარმეტყველება გავწიო: ჩვენი მუსიკა წინ მიდის და მალე დადგება დრო, რომ ჩვენ აღარ დაგვჭირდებიან უცხოთა მოწვევა და **საკუთარ** ძალებითვე შევძლებთ **საკუთარ** ოპერების დადგმას.

ქ-ნი მ. კოლოტოვისა, მართლაც, ღირს ქართველი ადამიანის მხურვალე მადლობისა, რომ ჩვენ სცენას აბედნიერებს უნუანსოდ, ისეთი ბუნებრივად, თითქოს იგი ქართველი ყოფილიყო. მისი ეთერი მკაფიოდ, მარცვლობით გამოსთქვამდა არიის ყოველ სიტყვას, ყოველს მიმოხვრას...

ფრიად შინაარსიანი იყო მესამე განყოფილებაც. ამ ნარევ განყოფილებაში ისეთ სახელოვან კომპოზიტორთა შორის, როგორნიც არიან გრიგი, რიმსკი კორსაკოვი, ბოროდინი ანუ სვინდსენი და სხვანი ჩვენ ვნახეთ სხვა და სხვა ნომრები ფალიაშვილის მუსიკისა. არ შეიძლება სიამოვნებით არ აღვნიშნოთ, რომ ამ განყოფილების გვირგვინი იყო მისი „კვარტეტი" (აბესალომ და ეთერიდან). აქაც პირველობა უნდა დავუთმოთ ქ-ნ კოლოტოვისას, საზოგადოება დაჟინებით ითხოვდა განმეორებას, მაგრამ სამწუხაროდ დრო აღარ რჩებოდა ყველა ნომრების შესასრულებლად და კვარტეტიც არ გაუმეორებიათ.

ქ-ნ ევა ბრიუნელის დირიჟორობით ორკესტრმა შესრულა გრიგის „პეერგიუნტი"-დან „დილა", „აზას სიკვდილი", „ანიტრის ცეკვა" და „მეფის სასახლეში". ყველა ნომრები მშვენივრად იქმნა შესრულებული, განსაკუთრებით „აზას სიკვდილი" და „ანიტრას ცეკვა"...

საღამო მეტად გაგრძელდა. უკვე ღამის პირველი საათი გადავიდა, ვიდრე უკანასკნელი ფარდა შეირხეოდა...

საზოგადოება დიდძალი დაესწრო და ნასიამოვნებიც დაიშალა.

**დ. კ—ძე.**

## ღარიბ მოწაფეთა შემწე თბილისის გუბერნიის თავად-აზნაურთა საზოგადოების წევრთა წლიური კრება.

14 ივნისს კრება გაიხსნა, თავ. მ. ა. სუმბათიშვილის თავმჯდომარეობით, დილის 12 საათ. და 20 წუთზე. წინანდელ კრების ოქმის წაკითხვისა და დამტკიცების შემდეგ კრება შეუდგა ქალთა სკოლის ტიპის შესახებ განხილვა-განახლებას. წარსულ წლის 17 მაისს საზოგადო კრებამ მოისმინა მოხსენებანი გამგე კომიტეტისა და საგანგებო კომისიისა ქალთა სკოლის რეორგანიზაციის შესახებ, დაამტკიცა იგი და გამგე კომიტეტს დაავალა სათანადო მუშაობა ამ საქმის განსახორციელებლად. საგულისხმიეროა კომისიის მოხსენება: იგი ამბობს, რომ ქალთა სკოლა უნდა იყვეს საშუალო ტიპისა ზოგადი განვითარების მისაღებად, რომელშიაც ქალებს ჩვეულებრივ ტიპის გიმნაზიასთან შედარებით მეტი ცოდნა მიეცემა; ამასთანავე იგივე სასწავლებელი უნდა იქნას საშუალო სამეურნეო და სამრეწველო სასწავლებელი, რომელშიაც მოსწავლეთ უნდა შეასწავლონ თეორიულად და პრაქტიკულად მეურნეობა და მრეწველობა. ასეთი სასწავლებელი, კომისიის აზრით, „დიდად დააწინაურებს ჩვენ ჩამორჩენილ მამულის მოვლას და განავითარებს დაცემულ მრეწველობას, დაუბრუნებს მომავალ თაობას საკუთარ მიწა-წყალს და შეაჩერებს ცოტად მაინც მიწა-წყლის ჩალის ფასად დაკარგვას". გამგე კომიტეტი, საზოგადო კრების დავალების თანახმად, შესდგომია გადაწყვეტილების სისრულეში მოყვანისათვის მუშაობას, მაგრამ ჯერ-ჯერობით ვერაფერი გაუწყვია-რა, რადგან საჭირო ფული ვერსად აღმოუჩენია. გამგე კომიტეტის დადგენილება ამ საგნის შესახებ ასეთია: „რადგან არც ამ ჟამად და არც ახლო მომავალში საზოგადოებას არ მოეპოვება სახსარი საქალებო სკოლის სამეურნეო-სამრეწველო სასწავლებლად გადაკეთებისათვის, ამიტომ საქალებო სკოლისთვის მიღებულ იქნას ჯერ-ჯერობით საქალებო გიმნაზიის ჩვეულებრივი ტიპი და წარედგინოს ეს საზოგადოებას დასამტკიცებლად. ხოლო აღიძრას შუამდგომლობა, სადაც ჯერარს, შესაფერ უფლების მოსაპოებლად".

**დ. დუმბაძემ** საყვედურით მიჰმართა გამგე კომიტეტს: ამბობთ, ფული არ არისო, მაგრამ გადადგით რაიმე ნაბიჯი ამ საქმის სასარგებლოდ, თუ არა? საგიმნაზიო განათლებით ხართ გატაცებუბული და მხოლოდ ამით აიხსნება უმოქმედობაო. **პროფ. ი. ჯავახიშვილი** კრიტიკულად შეეხო კომისიის მიერ შემუშავებულ სამოსწავლო გეგმას და და შეუძლებლად დასახა იმის განხორციელება რაიმე სასწავლებელში. ხსენებულ გეგმის მიხედვით დასახულ ქალთა სასწავლებელში უნდა ასწავლონ 13 საზოგადო განათლების მისაღები საგანი და ამასთან ერთად სპეციალური ცოდნისათვის კიდევ 15 საგანი—გეოლოგია, მინერალოგია, ქიმია, ველის მეურნეობა, მეტეოროლოგია, მანქანების სწავლა, ზოოტეხნია, მებოსტნეობა, მებაღეობა, მევენახეობა, ბუხგალტერია, საბეითალო ნაწილი, ჰიგიენა, პედაგოგიკა და მეოჯახეობა. იშვიათად თუ ვინმე დაიბადებაო, ბრძანა ბ-მა ჯავახიშვილმა—რომელსაც შეეძლოს ამდენი საგნის შესწავლაო. **ა. ბ. ჰიჰინაძემ** ურჩია კრებას, საქალებო განყოფილება გადაკეთდეს სრულ გიმნაზიად ზოგადი განათლების მისაღებად. როცა ასეთ განათლებას მიიღებენ მოსწავლენი, შემდეგ იმათთვის უნდა დაარსდეს 2—3 წლის პრაქტიკული კურსები. ორატორმა ბევრი ილაპარაკა ზოგადი სწავლის მიღების საჭიროებაზე და საკმაოდ დაამტკიცა მისი საჭიროება ყველა ქართველისათვის განურჩევლად სქესისა. **ს. კედიას** აზრით მთელი ჩვენი ძალ-ღონე უნდა მოხმარდეს პრაქტიკულ ცოდნის გავრცელებას, რადგან მხოლოდ ამაშია ჩვენი ხსნა. პრაქტიკული სასწავლებლებით უნდა მოიფინოს მთელი საქართველო; ასეთი უმაღლესი სასწავლებლები უნდა გაიხსნას დიდ ქალაქებში, ხოლო დაბალი ტიპის სკოლები პროვინციებში. ორატორის აზრით, ერთი გროშიც არ უნდა დავხარჯოთ მთავრობის ტიპის სკოლაზე, რადგან იქ სწავლა დამთავრებულები ძალა-უნებლიეთ ეკარგებიან სამშობლოს. **ბ-ნმა ს. დადიანმაც** ეგევე აზრი გამოსთქვა და ამას ისიც დაუმატა, რომ არსებულ საშუალო სასწავლებლებიდან რუსეთში მიდიან დიპლომისათვის ჩვენი ახალგაზდები, ხოლო ვინც დიპლომს გაძლევს, რასაც ის გიკარნახეს, ისე უნდა მოიქცეო. **ბ-ნ ი. რატიშვილს** ძალიან უკვირს, რატომ არიან ზოგიერთები წინააღმდეგნი უმაღლესი განათლებისა; ასეთმა შეხედულობამ, პრესაშიაც მოიპოვა, სამწუხაროდ, თანაგრძნობა. ჩვენში თუ რაიმე გაკეთებულა ჯერ-ჯერობითო—განაგრძო ორატორმა—უმაღლეს სწავლა დამთავრებულების თაოსნობით არის გაკეთებულიო. ამიტომ, ორატორის აზრით, ქალთა სკოლა საშუალო ზოგად განათლების მისაღებ სასწავლებლად უნდა გადაკეთდეს, საიდანაც კურს-დამთავრებულები საცა სურსთ, იქ წავლენ, ვინ რუსეთის მაღალ სასასწავლებელში, ვინ საზღვარ გარეთ და ვინ პრაქტიკულ კურსებზე. რაც შეეხება აგრონომიულ და საზოგადოდ პრაქტიკულ სკოლების გახსნას ჩვენში, ამაზედ უნდა იზრუნონ ქ. შ. წ.-კ. გამავრცელებელმა და ქართულმა სამეურნეო საზოგადოებამ, რომელთა განვითარება-გაძლიერებას ყველა ჩვენგანმა ხელი უნდა შეუწყოს. **ექ. მ. გედევანიშვილი** მომხრეა ქართველთა სკოლა გადაკეთდეს სრულ გიმნაზიად ზოგადი სწავლის მისაღებად, რადგან საშუალო განათლება ქალებისათვისაც ისევე საჭიროა, როგორც ვაჟებისათვისაც ორატორის აზრით გიმნაზიაში, პედაგოგიისა და ეკონომიის მიხედვით, სწავლება შერეული უნდა იყოს, ე. ი. ქალები და ვაჟები ერთად უნდა სწავლობდნენ. სამეურნეო სასწავლებლები, როგორც ორატორი ჰფიქრობს, ქართულმა სამეურნეო საზოგადოებამ უნდა დაარსოს.

ბ-ნნი **დ. დუმბაძე, გ. რცხილაძე.** თავ. **ი. ბარათაშვილი** და ზოგნი სხვანი დაჟინებით მოითხოვენ წინანდელი დადგენილება უთუოდ შესრულებულ იქნას. მეორე მხარეს-კი ეს შეუძლებლად მიაჩნია. ამასთანავე საკითხი აღიძრა იმის შესახებ, რომ წელს საქალებო სკოლას მეხუთე კლასი უნდა მიემატოსო. ქ-ნმა **თ. ი. ჯავახიშვილმა** განაცხადა, რომ ეს საკითხი ეხლავე უნდა გადაწყდეს, რადგან სკოლა გამოურკვეველს მდგომარეობაშია და ასეთი მდგომარეობა აუტანელია. ორატორი აცხადებს, რომ 100 ათას მანეთს ეხლა კი არა მომავალშიაც ვერ იშოვნის ჩვენი საზოგადოება და სკოლას ნუ აბრკოლებთ, გიმნაზიად გადააკეთეთო. **სპ. ბაქრაძემ** განაცხადა, რომ მშობელთა დელეგატების 99 პროც.-მა ის აზრი გამოსთქვა, რომ სკოლა უთუოდ გიმნაზიად გადაკეთდესო. **კნ. მ. ვ. ორბელიანისამ** განაცხადა, რომ წარსულ წლებში უკვე გადაწყვეტილია, რომ სკოლას ყოველ წლობით მიემატოს თითო კლასი და წინანდელ დადგენილებას ხომ არ დაარღვევთო.

თავმჯდომარე შეეკითხა კრებას მეხუთე კლასის გახსნის შესახებ.

კრებამ მიიღო შემდეგი დადგენილება: 1) რადგან ეხლა ღონისძიება არ არის საშუალო სამეურნეო ხასწავლებლის დასაარსებლად, არჩეულ იქნას კომისია, რომელიც გამგე კომიტეტთან ერთად ასეთ საშუალებას გამონახავს და 1 წლის შემდეგ მოხსენებას წარმოუდგენს საზოგადო კრებას და 2) ქალთა სკოლას ყოველ წელს მიემატება თითო კლასი, სანამ იგი სრულ გიმნაზიად არ გახდება ყოველივე უფლებებით.

რედაქტორ-გამომცემელი
**სანდრო შანშიაშვილი**

### კახეთის რკინის გზის მიმოსვლა
**(დრო ადგილობრივ საათით არის ნაჩვენები)**

თბილისიდან გადის: ორშაბათობით, ოთხშაბათობით და პარასკეობით; უკან ბრუნდება: სამშაბათობით, ხუთშაბათობით და შაბათობით.

**თბილისიდან გადის:**

| | | | | |
|---|---|---|---|---|
| თბილისიდან . . . | 8 ს. | 13 წ. | დილ. |
| ნავთლუღ-ამიერ-კავ. . | 8 „ | 40 „ | „ |
| ნავთლუღ-კახეთ. . . | 8 „ | 58 „ | „ |

| | | | |
|---|---|---|---|
| ვაზიანიდან . . . | 10 „ | 06 „ | „ |
| ივრიდან . . . | 21 „ | 15 „ | „ |
| საგარეჯოდან . . . | 11 „ | 58 „ | „ |
| ბადიაურიდან . . . | 12 „ | 56 „ | „ |
| მელაანიდან . . . | 2 ს. | 16 წ. | სად. |
| გურჯაანიდან . . . | 3 „ | 37 „ | „ |
| კარდენახიდან . . . | 4 „ | 12 „ | „ |
| წნორის-წყალზე . . . | 4 „ | 44 „ | „ |

**გურჯაანიდან-თელავამდე № 7.**

| | | | |
|---|---|---|---|
| გურჯაანიდან . . . | 3 ს. | 42 წ. | სად. |
| ვაჩნაძიანიდან . . . | 4 „ | 33 „ | „ |
| თელავში . . . . | 5 „ | 27 „ | „ |

**თბილისისკენ მოდის:**

| | | | |
|---|---|---|---|
| წნორის-წყლიდან . . | 8 ს. | 58 წ. | დილ. |
| კარდანახიდან . . . | 9 „ | 41 „ | „ |
| გურჯაანიდან . . . | 10 „ | 24 „ | „ |
| მელაანიდან . . . | 11 „ | 39 „ | „ |
| ბადიაურიდან . . . | 12 „ | 59 „ | დღ. |
| საგარეჯოდან . . . | 2 „ | 80 „ | „ |
| ივრიდან . . . | 2 „ | 50 „ | „ |
| ვაზიანიდან . . . | 3 „ | 55 „ | „ |
| ნავთლუღ-კახეთ. . . | 4 „ | 58 „ | „ |
| ნავთლუღ-ამიერ-კავ. . | 5 „ | 13 „ | „ |
| თბილისში , . . . | 5 „ | 28 „ | „ |

**თელავიდან-გურჯაანამდე № 8.**

| | | | |
|---|---|---|---|
| თელავიდან . . . | 8 ს. | 54 წ. | დილ. |
| ვაჩნაძიანიდან . . . | 9 „ | 25 „ | „ |
| გურჯაანში . . . | 10 „ | 07 „ | „ |

### ამიერ-კავკასიის რკინის გზის მიმოსვლა.
**(დრო ნაჩვენებია თბილის. საათით)**

**თბილისში მოდის:**

| | | | |
|---|---|---|---|
| № 3 ბაქოდან . . . | 12 ს. | 54 წ. | დღ. |
| № 4 ბათომიდან . . | 5 ს. | 55 წ. | სად. |
| № 5 ბაქოდან (სწრაფი) | 7 ს. | 41 წ. | სად. |
| № 10 ბათომიდან. . | 9 ს. | 51 წ. | დილ. |
| ჯულფიდან. . | 6 ს. | 53 წ. | დილ. |
| ბორჯომიდან . | 7 ს. | 25 წ. | დილ |

**თბილისიდან გადის:**

| | | | |
|---|---|---|---|
| № 3 ბათომისკენ . . | 1 ს. | 45 წ. | დღ. |
| № 4 ბაქოსკენ . . | 7 ს. | 3 წ. | სად. |
| № 6 ბაქოს (სწრაფი) | 12 ს. | 8 წ. | დღ. |
| № 9 ბათომისკენ . . | 8 ს. | 53 წ. | სად. |
| ჯულფისკენ . | 10 ს. | 23 წ. | სად. |
| ბორჯომისკენ | 3 ს. | 29 წ. | დღ. |

**გოლოვინის პრ. და სამხედრო ქუჩის კუთხეში, ფოსტა-ტელეგრაფის პირდაპირ გაიხსნა**

**ახალი აფთიაქი**
**პროვიზორის ახვლედიანისა.**
25—16

# საკომისიო კანტორა
## ი. ტ. გვათუასი
**თბილისი, ვერის დაღმართი, № 1. ტელეფ. 17-05**

**რეგისტრაცია** თავისუფალ ბინისა; **გადაწერა და სწავლა** საწერ მაშინაზე. **მიცემა ცნობისა** ყოველგვარ დაწესებულებიდან; **შუამავლობა** უძრავ ქონების ყიდვა-გაყიდვისა, დაგირავებისა და იჯარით გასაცემად; ვკისრულობთ ყოველგვარ საკომისიო საქმეს ქალაქელთა და ქალაქ გარეშელთაგან.
**მონდობილებას** სწრაფად და პირნათლად ვასრულებთ. (8—6—7)

მეხილეთა ამხანაგობა
# „ქართლი"
„ქართლის" კოოპერატიულ მაღაზიაში (ძველი სემინარიის შენობა) ყოველდღე ჩამოდის ახალი ხილი ამხანაგობის წევრებისაგან. მსურველთ შეუძლიანთ შეიძინონ ყოველნაირი ხილი იაფად. წ.

# თევზის მრეწველნი
# ძმ. ძეძველოვები
**პუშკინის ქუჩა, საკუთ. სახ. № 9, ტელეფონი № 712.**
## განყოფილება ავლაბარში
**კახეთის ქუჩა, საკუთ. სახ. № 7. ტელეფონი № 712.**

ყოველდღე მოგვდის საკუთარ და სავაჭრო სახლ. „**ლ. ჟილოვის-შვით**", სამრეწველოებიდან ახალი ქვირითის **ხიზილალა**, მცირე მარილიანი, შავი „**მეშოჩნი**" ხიზილალა, აგრეთვე ახალ-ახალი მტკვრის ზუთხი, თართი, ფარგა და ლოქო. გვაქვს აგრეთვე მიღებული ყოველგვარი კონსერვები და სარდინკები რუსეთისა და საზღვარ-გარეთის ფირმებისა ხანგრძლივ ინახება.

**საპოლიტიკო და სალიტერატურო გაზეთი**
# „სამშობლო"
(გამოდის ქუთაისში)
ყოველ კვირეული სურათებიანი დამატებით
**გ ა ზ ე თ ი ღ ი რ ს:**
ერთი წლით 8 მანეთი, ნახევარი წლით 5 მან. ერთი თვით—ოთხი აბაზი. ცალკე ნუმერი ერთი შაური, დამატებიანი—7 კ. მისამართი: **ქუთაისი, რედაქცია „სამშობლო"**. ვსთხოვთ ომში დაჭრილთა და მოკლულთა ნათესავ-მეგობრებს მოგვაწოდონ მათი სურათები.
რედაქტორი **ი. ცინცაძე.**

სწრაფ-მბეჭდავი სტამბა სპირიდონ ლოსაბერიძისა, მოსკოვის ქ. № 5.
ნებადართულია სამხედრო ცენზორისაგან